შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესუალური ასპექტები წინა სასამართლო სხდომაზე

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: **იაკობიშვილი არჩილი**

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი ჭელიძე სერგო

თბილისი

2020

შინაარსი

ანოტაცია ----------4

Annotation----------5

შესავალი----------6

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა ----------9

თავი II. სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება და სახეები----------11

2.1.სისხლის სამართლის პროცესის დაყოფა ----------12

2.2 სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს მაგალითზე ----------14

თავი III. მოსაზრებები სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების, მისი არსის შესახებ ----------19

3.1. წარმოდგენები სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით ----------19

3.2. სისხლისსამართლებრივი დევნის მნიშვნელობა ----------20

3.3. სისხლისსამართლებრივი დევნა სხვადასხვა პრაქტიკით ------- ----------21

3.4. მეცნიერთა მოსაზრებები სისხლისსამართლებრივ დევნასთნ დაკავშირებით ---------- 22

თავი IV. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, დასრულება , განხორციელება და საფუძვლები ----------23

4.1. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება დაკავებით ----------27

4.2. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პირის ბრალდებით----------29

თავი V. სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია და გამოძიების ეტაპზე საპროცესო ხელმძღვანელობა---------- ----------31

5.1. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ----------31

თავი VI. სისხლისსამართლებრივი დევნის შედარებითი სამართლებრივი ანალიზი ----------33

6.1. სისხლისსამართლებრივი დევნა ინგლისში ----------33

6.2. სისხლისსამართლებრივი დევნა საფრანგეთში ----------37

თავი VII. წინასასამართლო სხდომა და სისხლისსამართლებრივი დევნა ----------39

7.1. წინასასამართლო სხდომის დანიშნულება ----------42

თავი VIII. წინასასამართლო სხდომის შედარებითი სამართლებრივი ანალიზი ----------46

8.1. წინასასამართლო სხდომა აშშ-ში ----------46

8.2. წინასასამართლო სხდომა საფრანგეთში ----------48

თავი IX. კვლევის შედეგები ----------49

დასკვნა ----------52

გამოყენებული ლიტერატურა ----------54

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სისხლის სამარლებრივი დევნის პროცესუალური ასპექტები წინა სასამართლო სხდომაზე. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ კონტექსტში, ეროვნულთან ერთად განხილულია ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა.

სანამ ვრცელ მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, მოკლედ რომ მიმოვიხილოთ ზოგადად სისხლის სამართლებრივ დევნას, სხვადასხვა ქვეყნები თავიანთ კანონმდებლობაზე მორგებული პრაქტიკით და გამოცდილებით ახორციელებენ. სისხლისსამართლებრივი დევნას არ აქვს ზუსტი განსაზღვრება და სხვადასხვა სამართლის მეცნიერები თავის ნაშრომებში სისხლისსამართლებრივ დევნას განგვიმარტავენ სხვადასხვაგვარად, რაზეც შემდგომში ვისაუბრებთ. ერთზე კი ყველა თანხმდება, რომ სისხლის სამართლებრივი დევნა ხორციელდება სახელმწიფოსა და ინდივიდს ანუ ბრალდებულს შორის

გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიოში არსებული სისხლისსამართლებრივი სისტემებიდან დღეს დღეობით ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს 2 ძირითადი ყველაზე გავრცელებული მოდელი, რომლებიცაა საერთო სამართლის, იგივე ანგლო-ამერიკული და კონტინენტური ევროპის, იგივე რომანულ-გერმანული, შემდგომში ძირითადად სწორედ ამ ორი მოდელიდან გამომდინარე მიღებულ პრაქტიკებსა და გამოცდილებებზე ვისაუბრებთ. განვსაზღვრავთ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისა და დასრულების საფუძვლებს, ნაშრომში გავეცნობით თუ რა შეხედულებები გააჩნიათ სამართლის გამოჩენილ მეცნიერებს და როგორ ხედავენ სისხლისსამართლებრივი დევნის, როგორც დანაშაულთან ბრძოლის უმნიშვნელოვანეს მექანიზმს. გავეცნობით სისხლისსმართლებრივი დევნას წინა სასამართლო სხდომის ეტაპზე და სხვადასხვა როგორც ქართველი ისე უცხოელი მეცნიერების შეფასებებს, თუ რა როლი, რა დატვირთვა აქვს წინასასამართლო სხდომას.

Annotation

This paper discusses the procedural aspects of the prosecution of bloodshed in a previous court hearing. Therefore, in this context, the legislation and practice of European and common law countries are discussed together with the national one.

Before we move on to an extensive review, to briefly review the criminal prosecution in general, different countries are implementing practices and experiences tailored to their legislation. Prosecution does not have a precise definition, and scholars in various jurisprudence explain criminal prosecution in different ways in their writings, which we will discuss later. On the one hand, everyone agrees that criminal prosecution is being carried out between the state and the individual or the accused.

Given that we have two of the most common models of criminal justice in the world today, we will talk about the practices and experiences derived from common law, the same Anglo-American and continental Europe, the same Romanian-German, and then mainly from these two models. We will define the basics of initiating and ending a criminal prosecution, in this paper we will look at what views prominent scholars of law have and how they view criminal prosecution as the most important mechanism in combating crime. We will get acquainted with the criminal prosecution at the stage of the previous court session and the assessments of various Georgian and foreign sciences, what is the role, what is the workload of the pre-trial session.

შესავალი

სისხლის სამართლის პროცესში უმნიშვნელოვანესი ადგილი სისხლისსამართლებრივ დევნას უჭირავს, ვინაიდან ის განაპირობებს სასამართლოში საქმის წარმართვის მიმართულებას და საბოლოო შედეგის საფუძველი ხდება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე სისხლისსამართლებრივი დევნა როგორც დამნაშავეთა გამოვლენის და კანონისშესაბამისად დასჯის უმთავრესი მექანიზმია. რაც შეეხება სისხლის სამართლებრივ დევნას წინასასამართლო სხდომის ეტაპზე და მის პროცესუალურ ასპექტებს ამაზე დაწვრილებით ვისაუბრებთ ქვემოთ სადაც ნათლად ჩანს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალ წარმოებაში თუ რა მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ზოგადად წინასასამართლო სხდომას და ამ სხდომის ფარგლებში სისხლის სამართლებრივ დევნას.

წინასასამართლო სხდომის ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობას გადამწყვეტი როლი უწირავს, რაც მდგომარეობს შემდგომში, რომ თუკი სისხლისსმართლებრივი დევნის განმახორციელებელ პირს - ორგანოს, უკვე წინასასამართლო სხდომის ეტაპზე არ გააჩნია ბრალდებისათვის საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულებები წინასასამართლო სხდომის მოსამართლე უფლებამოსილია საქმეში არარსებული მტკიცებულებებისა თუ საქმესთან დაკავშირებული პირის, ბრალდებულის მიმართ ბრალდებისათვსი საკმარისი საფუძვლების არ არსებობის შემთხვევაში საქმე განსახილველად არსებითად განმხილველ სასამართლოს არ გადასცეს. რაც იმას ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი პირი ვეღარ შეძლებს საქმის სასამართლოში შემდგომ წარმართვას რაზეც უფრო ფართო მსჯელობას ნაშრომში იხილავთ.

აღნიშნულ ნაშრომში დეტალურად გაეცნობით თუ რა არის ზოგადად სისხლისსამართლებრივი დევნა. ვინ არის სისხლისსამართლებრივი დევნის გამახორციელებელი უფლებამოსილი პირი თუ ორგანო. რა შემთხვევაში ითვლება სისხლისსამართლებრივი დევნა პირის მიმართ დაწყებული და ა.შ. ნაშრომში დეტალურად არის გაწერილი წინასასამართლო სხდომის მნიშვნელობა როგორც საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებაში ასევე უცხო სახემწიფოების სამართალწარმოებაში.

ნაშრომის ფარგლებშ ასევე განხილულია იურისტ მეცნიერთა შეხედულებები და მსჯელობები სისხლისსამართლებრივ დევნასთან და წინასასამართლო სხდომის მნიშვნელობასთან

დაკავშირებით. ისინი განგვიმარტავენ მათი წარმოშობის აუცილებლობას, თუ რა მიზანს ემსახურება ეს ორი ინსტიტუტი, რა განვითარების გზა გამოიარეს მათ სანამ ჩვენს წინაშე წარმოდგენილი იქნებოდა ამ სახით, როგორიც დღეს გაგვაჩნია.

იურისტ მეცნიერთა გადმოცემით სისხლისსამართლებრივი დევნა ეს არის მექანიზმი დანაშაულთან საბრძოლველად, დამნაშავეთა გამოსავლენად და მათ კანონისშესაბამისად დასასჯელად.

კვლევის მიზანი: თემის მიზანია, ქვემოთ მოცემულმა და გაანალიზებულმა ქართულმა და საერთაშორისო კანონმდებლობამ და პრაქტიკამ ხელი შეუწყოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების უკეთ აღქმას. დააინტერესოს მოქმედი და მომავალი იურისტები ნაშრომში მოცემული საკითხით. ქვემოთ მოცემული მსჯელობები დაგვეხმარება უკეთ გავიაზროთ თუ რასთან გვაქვს საქმე რა ცვლილებები გამოიარა ქვემოთ მ ოცემულმა ინსტიტუტმა და რა სახით გვხვდება ის დრეს ჩვენ. კვლევის მიზანია დაშრომის დახმარებით უკეთ ჩავუღრმავდეთ სისხლისსამართლებრივი დევნის და წინასასამართლო სხდომის მნიშვნელობას განვიხილოთ ისინი და კიდევ უფრო ვეცადოთ მათ სრულყოფილებასთან მიახლოებას.

კვლევის ამოცანა: თემის ამოცანაა, ღრმად ჩაწვდეს სისხლისსამართლებრივი დევნის მნიშვნელობას წინასასამართლო სხდომაზე, გავიაზროთ და გავაანალიზოთ თუ რა არის სისხლისსამართლებრივი დევნა, რისთვის გვჭირდება ის ჩვენ საზოგადოებას და თუ რა როლს ატარებს ის სისხლისსამართლის წარმოებაში. კვლევა საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ თუ რა დანიშნულება აქვს წინასასამართლო სხდომას სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში, ვიგებთ თუ რა პრაქტიკა გააჩნიათ სხვადასხვა ქვეყნებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

კვლევის მეთოდები: ნაშრომზე მუშაობისას კვლევა ვაწარმოვე თითოეულ იმ მასალასა თუ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელზეც ლიტერატურის მიმოხილვაშიც მოგახსენებთ. კვლევის ფარგლებში გამოვიყენე სამეცნიერო და ნორმატიული ლიტერატურა, რომელიც დამეხმარა გამეკეთებინა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი დასკვნები და დამეწერა ისე დამეწერა აღნიშნული ნაშრომი. ნაშრომში ზოგიერთი თავი და ქვეთავი დაწერილ იქნა სხვადასხვა, როგორც ქართველი, ისე უცხოელ იურისტ მეცნიერთა ნაწარმოები ლიტერატურის გამოყენებით რაც დამეხმარა უკეთ წარმომეჩინა ნაშრომში პარარელები ქართულ და უცხოურ სამართალწარმოებასთან მიმართებაში და უკეთ წარმომეჩინა საკითხი რომელთაც ნაშრომში განვიხილავთ.

საკითხის მნიშვნელობისა და აქტუალურობის მიუხედავად ნაშრომზე სამუშაოდ ქართული ლიტერატურის მოძიება საკმაოდ რთულია მისი სიმწირიდან გამომდინარე. ამიტომ საკანონმდებლო ლიტერატურის გარდა დიდი დახმარება გამიწია სამეცნიერო ნაშრომებმა და ინტერნეტ რესურსებმაც რომლებიც მითითებულია როგორც სქოლიოში ისე გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენე ლიტერატურა, რომელიც დამეხმარა, რომ კვლევა შეხებოდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს წინასასამართლო სხდომის და სისხლისსამართლებრივი დევნის გარშემო. ასეთები იყო: „მართლმსაჯულება და კანონი“ 2018წ რედაქტორი ნ ძიძიგური, თუმანიშვილი გ., „სისხლის სამართლის პროცესი“ (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), ბ. მეურმიშვილი. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში. სადისერტაციო ნაშრომი. 2014. ბ. მეურმიშვილი პროკურორი როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი. 2010 წ. აღნიშნულ ნაშრომები დამეხმარა გამეაზრებინა რა არის სისხლისსამართლებრივი დევნა, რა მიზანს ისახავს ის და რა პრობლემები გააჩნია მას სისხლისსამართალწარმოებაში. ზემოთ მოცემული ნაშრომებიდან ასევე გავიდე თუ რა როლი ეკისრება წინასასამართლო სხდომას საქმის არსებითად განსახილველად გადაცემამდე. დამეხმარა გამეცნობიერებინა თუ რა კავშირში იყო წინა სასამართლო სხდომა და სისხლისსამართლებრივი დევნა ერთმანეთთან. სად იყო მათი „გადაკვეთის წერტილი“ და გამერკვია ის დეტალები რაც ამ ორ ინსტიტუტთან არის კავშირში.

ზემოაღნიშნული მასალები ასევე წარმოადგენს შედარებით სამართლებრივ ანალიზს და მრავალმხრივ გვაჩვენებს საკითხის მთავარ მახასიათებლებს.

ნაშრომზე მუშაობისას ასევე ძალიან საინტერესო და ინფორმაციით სავსე იყო იმ უცხოური ლიტერატურის გამოყენება რომელიც ქვემოთ, გამოყენებულ ლიტერატურაში და სქოლიოშია აღნიშნული. მაგალითად „ჟან პრადელი შედარებითი სისხლის სამართალი“ და სხვა... სადაც ძალიან კარგადაა მოცემული ნაშრომში იმ საკითხების ანალიზი, რომელიც ამ კვლევის სრულყოფისათვის მესაჭიროებოდა. .

გარდა ზემოაღნიშნული ლიტერატურისა, ნაშრომში გამოყენებულია ნორმატიული მასალაც, კერძოდ: საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქ. მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. N3/2/646 2015 წლის სექტემბერი და ადამიანთა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „Sabelj V. Croatia,” განცხადების ნომერი 4429/09, 2011 წლის 28 ივნისი.

ქართული ლიტერატურის მსგავსად, ჩემთვის მეტად საჭირო და ინფორმაციული გამოდგა უცხოური ლიტერატურაც, რომელიც ან ინტერნეტით მოვიძიე, ანდა ქართულ მასალებში იყო

მოხსენიებული. ასეთები იყო: „ Pradel J., Droit pénal comparé, 3 e édition, Paris, 2008; Prade J., Droit pénal comparé, Paris, 1995; Галиуллин Ш.Р., Судебный контроль за законностью и обоснованностью уголовного преследования, реализуемого в отношении специальных субъектов уголовного судопроизводства России., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Москва, 2008; Головко Л.В., Альтернативы уголовному преследованию как форма процессуальной дифференциации (современные тенденции развития)., Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук, Москва, 2003; Горлова С.В., Уголовное преследование как проявление публичности в уголовном процессе., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Челябинск, 2006“. http://www.nzlii.org/nz/other/nzlc/pp/PP28/PP28.pdf http://bookfi.org/book/529335 http://www.lawreform.ie https://matsne.gov.ge https://www.law.cornell.edu/rules/fre/rule801

ზემოაღნიშნული გამოყენებული უცხოური ლიტერატურა თუ ინტერნეტ გვერდი დამეხმარა ჩემ ნაშრომში წარმოდგენილი ყოფილიყო საერთაშორისო წარმოდგენები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

თავი II. სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება და სახეები

მსოფლიოში არსებული სისხლისსამართლებრივი სისტემებიდან შეიძლება გამოიყოს ორი ყველაზე უფრო გავრცელებული მოდელი. ესენია: საერთო სამართლის, იგივე ანგლო-ამერიკული და კონტინენტური ევროპის (რომანულ-გერმანული) მოდელები. საერთო სამართლის ქვეყნებს წარმოადგენენ დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც სისხლის სამართლის პროცესი აგებულია ე.წ წინააღმდეგობრივ საწყისზე. ეს არის დავა სახელმწიფოსა და ინდივიდს - ბრალდებულს შორის, რომელიც ხორციელდება სასამართლოში.[1]

მაშასადამე, სისხლის სამართალწარმოებისას წარმოდგენილია ორი დაპირისპირებული მხარე; ბრალმდებელი., როგორც სახელმწიფოს და საზოგადოების წარმომადგენელი. ანგლო-ამერიკული მოდელისათვის დამახასიათებელია შეჯიბრებითი პროცესი, რომელიც ზემოაღნიშნული მხარეების თანასწორუფლებიანობას გულისხმობს. შეჯიბრებითობა გამოიხატება იმაში, რომ მხარეებს თანაბარი პროცესუალური უფლებები აქვთ მტკიცებულებათა მოპოვების და წარმოდგენის პროცესში. აღნიშნული მოდელის თანახმად, მოსამართლე ნეიტრალური არბიტრია. მას საკუთარი ინიციატივით მოქმედება ეკრძალება. მოსამართლე მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე აკეთებს დასკვნებს.[2] ანუ დაპირისპირების საწყისზე არსებული სამართალწარმოება ნეიტრალური გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის წინაშე ტარდება. ამ პირობებში მხარეები ცდილობენ საკუთარი პოზიციის მართებულობაში დაარწმუნონ გადაწყვეტილების მიმღები. პროცესი განგრძობადია და დამყარებულია ზეპირობის პრინციპზე. ანგლო-ამერიკული მოდელი გარდა ზემოაღნიშნული ქვეყნებისა, გავრცელებულია ასევე კანადასა და ავსტრალიაში.[3][4]

---

[1] Рахунов Р.Д., Предварительное расследование в советском уголовном процессе, Автореферат докторской диссертации, М. 1953, 13; Фаткуллин Ф.Н., Возбуждение уголовного дела в советском уголовном процессе, Автореферат кандидатской диссертации, М., 1959, 5-8 - მითითებულია ფაფიაშვილი ა. თავაძე ა. მასალების შემოწმება დასისხლის სამართლის საქმისა და დევნის აღძვრა, თბილისი2002.90-91.

[2] ფაფიაშვილი შ. თევზაძე ა. მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმისა და დევნის აღძვრა, თბილისი, 2002. 97-98

[3] საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი N 1204 - სსმ 2005წ,N14, მუხ.94.

[4] ბ. მეურმიშვილი. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში. სადისერტაციო ნაშრომი. 52გვ

2.1 სისხლის სამართლის პროცესის დაყოფა

საერთო სამართლის ქვეყნებში სისხლის სამართლის პროცესი პირობითად დაყოფილია, ოთხ ეტაპად:

ა) წინა სასამართლო წარმოება, რაც გულისხმობს საპოლიციო გამოძიებას და სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოების საქმიანობას სასამართლოში საქმის წარმართვამდე;

ბ) სისხლის სამართლის საქმის წინასწარი განხილვა მოსამართლეების ან თანამდებობის სხვა პირების მიერ, რომლებსაც გააჩნიათ უფლებამოსილება გასცენ ნებართვა მოქალაქეთა უფლებების შემზღუდველ მოქმედებებზე, შეამოწმონ საქმის არსებითად განხილვისთვის საკმარისი მტკიცებულებების არსებობა და ასე შემდეგ.

გ) საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში;

დ) განაჩენის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება.

თუმცა მოცემული სტანდარტიდან გადახვევა შესაძლებელია. დასაშვებია აღნიშნული ეტაპების უფრო დეტალურად გაწერა.[5][6]

რაც შეეხება კონტინენტური ევროპის მოდელს, რომლის მაგალითსაც წარმოადგენენ: საფრანგეთი, გერმანია და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ აქ წმინდა შეჯიბრებითი პროცესი ფაქტიურად არ არსებობს. ამ ქვეყნებისთვის, რომელთაც შერეული მოდელის ქვეყნებსაც უწოდებენ ძირითადად დამახასიათებელია ინკვიზიციურობა წინასწარი გამოძიების ეტაპზე, სადაც მოსამართლე სხვა სუბიექტებთან ერთად ჩართულია მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში. ტრადიციულ ინკვიზიციურ პროცესში, თეორიულად ნეიტრალური სუბიექტი ახორციელებს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას. ამ სისტემის ქვეყნებში, სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი სუბიექტების მოქმედებები გაწერილია ერთიან კოდიფიცირებულ აქტში - კოდექსში, განსხვავებით

[5] დავიდი რ. თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, რუსული გამოცემიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო; ნინიძე თ, თბილისი 1993, 31-34.
[6] გუცენკო კ.ფ. გოლოვკო ლ.ვ. ფილიმონოვი ბ.ა. ნაშრომი.. 9-10

საერთო სამართლის ქვეყნებისაგან. სადაც სასამართლო პრეცედენტია წყაროს მიჩნეული.[7]

აღიარებულია, რომ შერეულ პროცესს საფუძველი ჩაეყარა 1808 წელს საფრანგეთში, ხოლო შემდგომ იგი განვითარდა კონტინენტური ევროპის ქვეყნებში.

რაც შეეხება საქართველოს, 2010 წლის 1 ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელმაც სისხლის სამართალწარმოებაში არსებითად ახალი მიდგომები დანერგა. კერძოდ, ამ კოდექსმა თითქმის მთლიანად გაიზიარა ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემაში არსებული წმინდა შეჯიბრებითობის მოდელი, სადაც მოსამართლე შედარებით პასიური სუბიექტია, ვინაიდან იგი მტკიცებულებათა მოპოვებაში არ ერევა და ამ კუთხით ყველაფერი მხარეთა კომპეტენციას წარმოადგენს.

ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ სისხლისსამართლებრივი დევნა სახელმწიფოს ექსკლუზიურ უფლებად მიიჩნია და მისი დაწყება და განხორციელება დაავალა მხოლოდ სახელმწიფოს სპეციალურ წარმომადგენელს - პროკურორს (სსკ_ის 166_ე მუხლი).[8]

---

[7] გუცენკო კ.ფ. გოლოვკო ლ.ვ. ფილიმონოვი ბ.ა. ნაშრომი.. 15-16 Шманатова В. Е., Публичное начало как основа уголовного преследования в уголовном процессе Российской Федерации., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Самара, 2004,

[8] ბ. მეურმიშვილი. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში. სადისერტაციო ნაშრომი. 56 გვ.

2.2 სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს მაგალითზე

საქართველოში, 2010 წლის პირველ ოქტომბერს, ახალის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამოქმედდა, რომელმაც სრულიად ახალი წესები დანერგა სისხლის სამართალწარმოებაში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა თითქმის სრულიად გაიზიარა საერთო სამართლის სისტემის წმინდა შეჯიბრებითი მოდელი, რომლის მიხედვითაც, მოსამართლე ნეიტრალურ მსაჯულად გვევლინება და შედარებით პასიური სუბიექტია.
განახლებულმა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ სისხლისსამართლებრივი დევნა სახელმწიფოს ექსკლუზიურ უფლებად მიიჩნია და მისი დაწყება და განხორციელება მხოლოდ სახელმწიფოს სპეციალურ წარმომადგენელს - პროკურორს დაავალა (სსსკ_ის 166_ე მუხლი.). პროკურორისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება მისის დისკრეციული უფლებამოსილებაა.[9]

სისხლისსამართლებრივი დევნა არის უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული,, სისხლის სამართლის კანონ ით განსაზღვრულ მოქმედებათა ერთობლიობა,რომლის მიზანი დანაშაულის ჩამდენი პირთა მხილება და მის მიმართ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული სასჯელის გამოყენების უზრუნველყოფაა.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ სისხლისსამართლებრივი დევნის არსის გაგება საკმაოდ რთული და მრავალმხრივი პროცესია. მის შესახებ არაერთგვაროვანი წარმოდგენები ყალიბდებოდა და გარკვეულწილად ეს დღესაც ასეა. ჩვენ უკვე განვიხილეთ და ქვემოთაც განვიხილავთ სხვადასხვა სამართლის მეცნიეთა იურიდიულ ლიტერატურას და ვნახავთ, რომ დღესაც არ არსებობს ერთიანი მოსაზრება სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების, მისი შემადგენელი ელემენტებისა და საპროცესო მოქმედებების, დევნის დამწყები სუბიექტების, ასევე მისი დაწყებისა და დამთავრების შესახებ.[10]

ის კი ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა დაკავშირებულია ისეთ თემებთან როგორიცაა სამართლიანობა, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, ეს არის ქვეყნის ურთიერთობის ფორმა ინდივიდთან -ბრალდებულთან, შესაბამისად,

[9] აბაშიძე გ. პროკურორი გამოძიების სტადიაზე. თბილისი. უნივერსალი გვ 57.
[10] საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი), ავტორთა ჯგუფი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი. 2017,გვ61.

სისხლისსამართლებრივი დევნია არ ნიშნავს ძალადობას, მის თვითმიზანს არ წარმოადგენს პირზე უარყოფითი ზემოქმედების მოხდენას, უფლებათა შეზღუდვას, სისხლისსამართლებრივი დევნა როგორც უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი მოწოდებულია დაიცვას საზოგადოება იმ უარყოფითი შედეგისგან, რომელიც დანაშაულს მოაქვს.

სისხლისსამართლებრივი დევნა ჩამოყალიბდასისხლის სამრთლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სფეროში, იგი წარმოადგენს სახელმწიფოს უფლებას, გამოავლინოს დანაშაულის ჩამდდენი პირი და დააკისროს მას შესაბამისი კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. სახელმწიფოს სწორედ ამ უფლებას შეიძლება ეწოდოს სისხლისსსამართლებრივი დევნა იმპირთა მიმართ, რომლებმაც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინეს სისხლისსამართლებრივი დანაშაული. ეს როგორც უკვე ზომოთ აღვნიშნეთ სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლებაა. სახელმწიფო, როგორც სამართალურთიერთობის მონაწილე, სისხლისსამართლებრივი დევნის რეალიზაციისას ასრულებს თავის ვალდებულებას სისხლის საპროცესოსამართლებრივი ურთიერთობის სფეროში.[11]

პროკურორის საქმიანობასთან მიმართევაში, სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას სრულად განსაზღვრავს სადისერტაციო ნაშრომში ე.დ. ბოლტოშევი. მისი აზრით სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია, რომელსაც პროკურორი ახორციელებს სასამართლომდე სტადიაზე, წარმოადგენს სისხლის საპროცესო კანონით რეგულირებად საქმიანობას, რომელიც მიმართულია სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე, საგამოძიებო ორგანოების მიერ საკმარისი მტკიცებულებების მოპოვება შეგროვებაზე, რომელიც გამოააშკარავებს ბრალდებულს მის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე, საპროცესო მოქმედებების ჩატარებაზე, მათ შორის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე, სხვა ღონისძიებების გატარებაზე, რათა აღკვეთილ იქნას გამოძიების ნორმალურ მსვლელობაზე ნეგატიური გავლენა იმისთვის, რომ საქმეზე დამთავრდეს გამოძიება და საქმე წარიმართოს სასამართლოში.[12]

რათქმაუნდა შესაძლებელია ზემოაღნიშნული სისხლისსამართლებრივი დევნის ამგვარი ფორმულირება შეიცავდეს ხარვეზებს, თუმცა მთლიანობაში ის მიმართულია დამნაშავე პირის მიმართ სისხლისამმართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისკენ.

თუკი გადავხედავთ იურიდიულ ლიტერატურას ვნახავთ, რომ მეცნიერ იურისტთა შორის საკმაოდ

[11] იგივე. გვ62.
[12] აბაშიძე გ. პროკურორი გამოძიების სტადიაზე. თბილისი „უნივერსალი“ გვ.61.

საკამათოა საკითხი იმის შესახებ ითვლება თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნად პროკურორის საქმიანობა, რომელსაც ის აწარმოებს საქმეში ბრალდებულის გამოჩენამდე. ნაწილი მათგანი ეთანხმება იმ შეხედულებას , რომ ბრალდების მხარის საქმიანობა, რომელიც ხორციელდება საქმეში ბრალდებულის გამოჩენამდე სისხლისსამართლებრივ დევნად არ ითვლება.

პროფესორი გივი აბაშიძე მიიჩნევს , რომ სისხლისსამართლებრივი დევნა იმ პირის მიმართ რომელიც როგორც შემდგომ დადგინდება, არ მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში, რა თქმა უნდა შეიცავს სისხლისსამართლებრივი დევნის ელემენტებს და ბრალდებულის გამოჩენამდე მის მიმართ ჩატარებული სისხლისსამართლებრივი დევნის საქმიანობა უნდა ჩაითვალოს სისხლისსამართლებრივ დევნად. გამომდინარე აქედან შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ბრალდებულის გამოჩენამდე ჩატარებული საქმიანობა შეგვიძლია მივიჩნიოთ სისხლისსამართლებრივ დევნად.[13]

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება მას შემდეგ, რაც საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებებიდან გამოიკვეთება გამოსაძიებელი დანაშაულებრივი ფაქტის ჩამდენი, ან დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირი და როცა მის მიმართ გამოტანილ იქნა დადგენილება ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ არსებობს სისხლის სამართლებრივი დევნის ოთხი სისტემა:

ა) სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს დაზარალებული ან მისი მემკვიდრეები(კერძო ბრალდება).

ბ) სისხლისსამართლებრივ დევნას აწარმოებს საზოგადოების სახელით ნებისმიერი მოქალაქე (სახალხო ბრალდება).

გ) სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს თავად მოსამართლე (ოფიციალური ბრალდება).

დ) სისხლისსამართლებრივი დევნა იწარმოება ,,კვალიფიციური ფუნქციონირების " - პროკურორების მეშვეობით (საჯარო ბრალდება).[14]

ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი სისტემა სხვადასხვა კანონმდებლობას ეხება. ზოგიერთ

---

[13] იქვე, გვ 70.

[14] Pradel J., Droit pénal comparé, 3 e édition, Paris, 2008, 365; Pradel J., Droit pénal comparé, Paris. 1995. პრადული ჟ. შედარებითი სისხლის სამართალი, ნაწილი 2, თარგმნა: სუმბათაშვილი ე, სამეცნიერო რედ. ნინიძე თ. 1999, 352-353.

კანონმდებლობას აქცენტი გადააქვს მოქალაქეებზე, ზოგს სახელმწიფოზე. დასახელებული სისტემებიდან აღსანიშნავია სისხლისსამართლებრივი დევნის დაზარალებულის მიერ განხორციელება, რაც ცალკეულ შემთხვევებში უცხო არ იყო ქართული სისხლის სამართლის საპროცესო მეცნიერებისა და კანონმდებლობისათვის, მაგრამ დღევანდელმა საპროცესოკანონმდებლობამ უპირატესობა მიანიჭა სისხლისსამართლებრივი დევნის მეოთხე სისტემას.[15][16]

ზემოთ მოცემული საკითხის განხილვისას საკმაოდ საინტერესოა ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ კი 1998 წლის 20 თებერვალს ამოქმედებული საპროცესო კოდექსი, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის სახეებს განსხვავებულად განსაზღვრავდა. კერძოდ კი, არსებობდა დევნის ოთხი ოთხი სახე-საჯარო, სუბსიდიური, კერძო-საჯარო და კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა.

საჯარო დევნა ზემოაღნიშნული კოდექსით ხორციელდებოდა ყველა კატეგორიის დანაშაულზე და გამომძიებლის მიერ. საგამოძიებო ორგანო ვალდებული იყო დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდგომ აუცილებლად დაეწყოთ გამოძიება იყო თუ არა ეს საჭირო და მნიშვნელობა არ ქონდა ვისგან იყო შეტყობინება შესული.

სუბსიდიურ დევნას რაც შეეხება გათვალისწინებული იყო სსსკ_ის 23_ე მუხლით და მიმდინარეობდა მხოლოდ და მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში.[17] სიტყვა „სუბსიდიური“ ლათინური წარმოშობისაა და ქართულად დამხმარეს დამატებითს ნიშნავს. რაც გულისხმობს დაზარალებულის, მისი წარმომადგენლის უფლებას , მხარი დაუჭირონ პროკურორის მიერ წარდგენილ ბრალდებას.

კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ერთმანეთში შეზავებული იყო საჯარო და კერძო ინტერესები.

კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა გამოი9რჩეოდა დაზარალებულის აქტიური როლით, ამ შემთხვევაში დევნის დაწყებაც და შეწყვეტაც დაზარალებულის ნების გამოვლენაზე იყო

---

[15] Pradel J., Droit pénal comparé, 3 e édition, Paris, 2008, 365; Pradel J., Droit pénal comparé, Paris. 477. პრადული ჟ. შედარებითი სისხლის სამართალი, ნაწილი 2, თარგმნა: სუმბათაშვილი ე, სამეცნიერო რედ. ნინიძე თ. 1999 წ. 352-353.

[16] საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ_ი 2009 წლის 01 აპრილის მდგომარეობით 27_ე მუხლი.

[17] სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, რედ:გოგშელიძე რ. თბილისი,2009. გვ 49.

დამოკიდებული.[18]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალმა კანონმდებლობამ დაზარალებულის როლი მნიშვნელოვნად შეამცირა და სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია მთლიანად სახელმწიფოს გამგეობაში გადაიტანა.დღევანდელი მდგომარეობით მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის თანახმად სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება იყოს მხოლოდ საჯარო, რაც რეგულირებულია სავალდებულო მითითებებით საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010წლის 8 ოქტომბრის ბრძანებით. აღნიშნული ბრძანების მიხედვით სისხლის სამართლის პოლიტიკის შესაბამისად პროკურორი ერთპიროვნულად ახორციელებს სახელმწიფოებრივ ფუნქციას, ხოლო დაზარალებულის უფლებები დაცულია მოწმის უფლებრივ დონეზე. მისი საჩივარი და განცხადება არ წარმოადგენს ვალდებულებას პროკურორისთვის.

აღსანიშნავია, რომ სისხლისსამართლებრივ დევნას გააჩნია თავისი შემადგენელი კომპონენტები, ესენია:

1. ფიზიკური დევნა, რომელშიც იგულისხმება ბრალდებულის დაკავება და საპროცესო გაფორმება;

2. სისხლისსამართლებრივი ბრალდება, რომელიც შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს:

ა) ბრალდება წინასასამართლო გამოძიების ეტაპზე’

ბ) სასამართლოში ბრალდებისათვის მხარდაჭერა’

3. სხვა საპროცესო მოქმედებები, რომელთა შესრულებითაც ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა.

ამრიგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება შესაძლოა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილი პირის მიერ წარმოებული საპროცესო საქმიანობა, რომელშიც მოიაზრება, საჯარო ინტერესის დაცვის, დანაშაულის ჩამდენი პირის მხილებისა და დასჯის მიზნით, ფაქტობრივი მონაცემების შეფასების შემდეგ, ბრალდებულის მიმართ შესაბამისი საპროცესო მოქმედებების , მათ შორის, საბრალდებო საქმიანობის განხორციელება, როგორც გამოძიების სტადიაზე ასევე

[18] ბ. მეურმიშვილი. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში. სადისერტაციო ნაშრომი. 61 გვ.

სასამართლოში განხილვისას.[19]

თავი III. მოსაზრებები სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების, მისი არსის შესახებ

3.1 წარმოდგენები სისხლისამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით

სისხლისსამართლებრივი დევნის არსის გაგებისაკენ მიმავალი გზა ერთობ ხანგრძლივი და რთულია. ამ ინსტიტუტის შესახებ ყალიბდება არაერთგვაროვანი წარმოდგენები და შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი დღესაც გრძელდება. იურიდიულ ლიტერატურაში დღემდე არ არსებობს ერთიანი მოსაზრება სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების, მისი შემადგენელი ელემენტების და საპროცესო მოქმედებების, დევნის დამწყები სუბიექტების, ასევე მისი დაწყებისა და დამთავრების შესახებ. მეცნიერ-იურისტთა ნაწილი სისხლისსამართლებრივ დევნას აიგივებს ბრალდებასთან ან/და გამოძიებასთან, ზოგიერთი კი მიიჩნევს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ ე.წ წინასასამართლო ეტაპზე ხორციელდება და მას ადგილი არ აქვს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის ეტაპზე.[20] [21]

ამგვარი არაერთგვაროვანი შეხედულებებისა და შეფასების ფონზე ბუნებრივად იბადება კითხვა: მაინც რა არის და რას წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნა?

აღსანიშნავია, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს თუ რა იგულისხმება სისხლისსამართლებრივ დევნაში, რაც გარკვეულწილად ამძაფრებს დავას და კიდევ უფრო ხელს უწყობს არაერთგვაროვანი მოსაზრებების ჩამოყალიბებას ამ ინსტიტუტთან დაკავშირებით.[22]

---

[19] საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი|), დასახ. ნაშრ. გვ. 64.

[20] ნაშრომი: Строгович М.С., Курс Советского уголовного процесса, Москва, 1958, 100. სტროგოვიჩი მ.ს. დასახ. ნაშრ. 113-114.

[21] გაბისონია ი. დასახ.ნაშრ. 260-262.

[22] იმავე მოსაზრებას ავრცელებს მ.მამნიაშვილი იხ. მამნიაშვილი მ. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული ასპექტები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის შექმნის

3.2 სისხლისსამართლებრივი დევნის მნიშვნელობა

სისხლისსამართლებრივ დევნას, როგორც სისხლის საპროცესოსამართლებრივ ფუნქციას აქვს არა მხოლოდ იურიდიული, არამედ ფილოსოფიური მნიშვნელობაც, ვინაიდან იგი დაკავშირებულია ისეთ კატეგორიებთან როგორიცაა სამართლიანობა, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. ეს არუს ერთგვარი ურთიერთობის ფორმა სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის. სისხლისსამართლებრივი დევნის თვითმიზანი არ არის ძალადობა ინდივიდზე ან ანტისოციალურ მოქმედებათა განხორციელება, არამედ ეს ინსტიტუტი მოწოდებულია სახელმწიფო და საზოგადოება დაიცვას მავნე შედეგებისგან. რაც უფრო განვითარებულია სახელმწიფო მით უფრო ნაკლებად იყენებს იძულების მეთოდებს ან ერიდება მათ დემონსტრირებას.[23]

სისხლისსამართლებრივი დევნა ჩამოყალიბდა სისხლის საპროცესოსამართლებრივი ურთიერთობის სფეროში. იგი წარმოადგენს სახელმწიფოს უფლებას გამოავლინოს დანაშაულის ჩამდენი პირი და ამ უკანასკნელს კანონით დადგენილი წესით დააკისროს შესაბამისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. სახელმწიფოს სწორედ ამ უფლებას შეიძლება ეწოდოს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ პირების მიმართ, რომლებმაც განზრახ ან გაუფრთხილებლობით განახორციელეს სისხლისსამართლებრივი აკრძალვა. ეს უფლება ექსკლუზიურად მხოლოდ სახელმწიფოს მიეკუთნება.[24] სისხლისსამართლებრივი დევნის უფლების რეალიზაციისას, სახელმწიფო, როგორც სამართალურთიერთობის მონაწილე ასრულებს თავის ვალდებულებას სისხლის საპროცესოსამართლებრივი ურთიერთობის სფეროში.[25]

სახელმწიფო ორგანოები და მისი წარმომადგენლები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან სახელმწიფოს სახელით ბრალდებულთან ჩაერთონ სისხლის საპროცესოსამართლებრივ ურთიერთობაში, წარმოადგენენ სისხლისსამართლებრივი დევნის ორანოებს. სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლებამოსილება სახელმწიფოს მხრიდან

---

30 წლისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2010-2012წ. 51 http://sou.edu.ge/files/Iuridiuli%20fakulteti/gamocemebi/LawFaculty-30a.pdf ბოლოს გამოხმობილია 03.04.2019წ.

[23] Кучин А.Ф., Правовой механизм публичного уголовного преследования., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Нижний новгород, 14-15.

[24] Яковенко В.В., დასახ.., ნაშრ., 13.

[25] იხ. იქვე, 14.

სწორედ ამ ორგანოებზეა დელეგირებული.[26]

3.3 სისხლისსამართლებრივი დევნა სხვადასხვა პრაქტიკით

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ საქართველოში სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ექსკლუზიური უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ პროკურორს (სსსკ-ის 166-ე მუხ..). რუსეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ სუბიექტად ითვლებიან, როგორც პროკურორი და გამომძიებელი, ასევე საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელი და მომკვლევი (მუხ.21_ე).[27] გამომძიებლის მონაწილეობა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაში გამოიხატება იმაში, რომ იგი ატარებს მის იურისდიქციაში შემავალ საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებებს.საგამოძიებო ორგანოს უფროსი სისხლისსამართლებრივ დევნაში მონაწილეობას იღებს გამომძიებლისთვის საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ მითითებების მიცემით, ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში მონაწილეობის მიღებით, ხოლო პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაში მონაწილეობს მაშინ, როდესაც მას გადაეცემა საქმე საბრალდებო აქტით და ა.შ.

ინგლისში სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებენ, როგორც გვირგვინის ბრალმდებლები, ასევე პოლიცია, ხოლო საფრანგეთში მართალია, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება პროკურორის პრეროგატივაა, მაგრამ ზოგიერთი კატეგორიის დანაშაულებზე ამ ფუნქციის შესრულება უწევთ სხვა თანამდებობის პირებსაც.

მაშასადამე, როორც ჩანს, სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განმახორციელებელ სუბიექტთა წრის განსაზღვრა დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაზე, რომელიც პირდაპირ მიუთითებს ამ თანამდებობის პირებს.

---

[26] Яковенко В.В., დასახ.., ნაშრ., 15.

[27] Гриненко А. В., Уголовный процесс: учебник — 2-е изд., перераб. — М.: Норма — 496 с., 2009, ბოლოს გამოხმობილია 19.06.2013; Шишкина Е.В., დასახ. ნაშრ. 174; Дубина И.А. Задачи досудебного уголовного судопроизводства и роль прокурора в их достижении., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Волгоград, 2006, 108, 113-114; Донской Д.Д., Функция уголовного преследования на этапе досудебного производства., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Ростов-на-дону, 2005, 88; Козубенко Ю.В., Уголовное преследование: вопросы теории и практики., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Екатеринбург, 2006, 211-212.

3.4 მეცნიერთა მოსაზრებები სისხლისსამართლებრივ დევნასთნ დაკავშირებით.

სისხლისსმართლებრივი დევნის შესახებ არსებული შეხედულებებიდან საყურადღებოა "დევნის ცნების სტროგოვიჩისეული დეფინიცია. მისი აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნა არის გამომძიებლისა და პროკურორის საქმიანობა განსაზღვრულ პირთან - ბრალდებულთან მიმართებაში, რომლის მიზანია დანაშაულის ჩამდენი პირის მხილება და მის მიმართ სასჯელის გამოყენების უზრუნველყოფა.[28]

ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ეთანხმება მეცნიერ იურისტთა დიდი ნაწილი. მათი აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოადგენს ბრალდების მხარის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ და სახელმწიფოს სახელით განხორციელებულ საქმიანობას, რომლის მიზანია დანაშაულის ჩამდენი პირის მხილება და ამ უკანასკნელისთვის სიხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.[29]

სისხლისსამართლებრივი დევნის ცნებასთან დაკავშირებით ვ.ს ჯატიევს აქვს განსხვავებული მოსაზრება. ავტორის აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნა არის აბსტრაქტული ცნება საკუთარი შინაარსის გარეშე, ვინაიდან მას ხსნიან ისეთი კონკრეტული სისხლის საპროცესოსამართლებრივი მოქმედებების განხორციელებით როგორიცაა: სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, იგივე გამოძიების დაწყება, პირის დაკავება, ბრალდება, ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდება, ბრალდების შეცვლა, სახელმწიფო ბრალდებისთვის მხარდაჭერა და ა.შ. ამიტომ სისხლის საპროცესო სამართლის დოქტრინაში ეხლაც მიმდინარეობს კვლევა სისხლისსამართლებრივი დევნის უფრო ზუსტი განსაზღვრების შესახებ. თანამდეროვე სისხლის საპროცესო სამართლის მეცნიერებაში მწიფდება აზრი სისხლისსამართლებრივი დევნის ვიწრო გაგებით განმარტების თაობაზე.[30]

---

[28] Строгович М.С., Уголовное преследование в советском уголовном процессе, Москва, 1951, 65; Строгович М.С., Курс Советского уголовного процесса, Москва, 1958, 99-108.

[29] Яковенко В.В. დასახ. ნაშრ. 24-25. 142-143; მახარაძე ა. დასახ, ნაშრ 46. აბაშიძე ი. პროკურორი წინასწარი გამოძიების სტადიაზეა, ბათუმი, 2008. 33;

[30] Горлова С.В., დასახ. ნაშრ. 82.

თავი IV. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, დასრულება,განხორციელება და საფუძვლები.

სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია ხორციელდება განსაზღვრულ ფარგლებში. მისი დაწყება დაკავშირებულია სისხლის სამართალწარმოებაში კონკრეტული პირის - ბრალდებულის გამოჩენასთან.[31] რაც შეეხება სისხლის სამართლებრივი დევნის დასრულებს, შეიძლება გამოიყოს დევნის დასრულების დამოდენიმე სახე : განსაზღვრულ შემთხვევებში გამოძიების სტადიაზე, ასევე სასამართლოში საქმის განხილვის დროს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა და სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანა.ანუ სისხლისსამართლებრივი დევნა სასამართლოშიც ხორციელდება და გამოიხატება სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერაში. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში წარმართვით პროკურორი იღებს ვალდებულებას განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია სასამართლოში საქმისწარმოებისას.[32]

ერთობ საკამათოა საკითხი იმის შესახებ, ითვლება თუ არა სისხლისსამართლებრივ დევნად პროკურორის საქმიანობა რომელსაც ის ახორციელებს ბრალდებულის გამოჩენამდე.

მ.ს სტრაგოვიჩი, სავსებით სწორედ მიიჩნევს, რომ მხოლოდ კონკრეტული პირის დევნაა შესაძლებელი და შესაბამისად, სისხლისსამართალწარმოებაში ბრალდებულის გამოჩენის მომენტიდან იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა. მანამდე წარმოებული საქმიანობა კი სისხლისსამართლებრივი დევნის მოსამზადებელ ნაწილს წარმოადგენს.[33]

სისხლისსამართლებრივი დევნის მოქმედების ფარგლებთან დაკავშირებით საკუთარი აზრი გააჩნია ი.გაბისონიას. მას მართებულად მიაჩნია მ.ს. სტრაგოვიჩის აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოებს არა ფაქტის, არამედ კონკრეტული პირის მიმართ.

---

[31] Яковенко В.В., დასახ. ნაშრ.., 143; Гриненко А. В., Уголовный процесс: учебник — 2-е изд., перераб. — М.: Норма — 496 с., 2009, ბოლოს გამოხმობილია 19.06.2018; Джатиев В.С. Уголовно-

[32] Сапронова Т.П., Особенности процессуального положения лиц осуществляющих уголовного преследования в суде., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Санкт-Петербург, 2005, 44; Яковенко В.Вდასახ. ნაშრ.., 144.

[33] Уголовный процесс России., Учебное пособие, Коврига З.Ф. (ред.), Кузнецов Н.П. (ред.), Глава. 4. Уголовное преследование, §1.Понятие и виды уголовного преследования, http://bookfi.org/book/529335 დასახ. ნაშრ. 105-106. ბოლოს გამოხმობილია 2018წ.

სისხლის სამართლის პროცესში, ბრალდების ფუნქციას პროკურორი ახორციელებს სასამართლომდელ სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის, ხოლო სასამართლოში საქმის განხილვისას - სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ფორმით. აღნიშნულის დასასაბუთებლად ი.გაბისონია ეყრდნობა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციას, ასევე სისხლისსამართლებრივიდევნის შესახებ ა9998 წლის საპროცესო კანონმდებლობით მოცემულ განმარტებას და დაასკვნის, რომ სასამართლოში საქმის განხილვისას პროკურორი არ არის უფლებამოსილი საქმეზე განახორციელოს რაიმე საპროცესო მოქმედება. შესაბამისად, პროცესის ამ სტადიაზე ბრალდედბულის მიმართ გარეშე როგანოს - პროკურატურის მხრიდან დევნის განხორციელება, შინაგანი ლოგიკის თვალსაზრისით საკმაოდ უხერხულ სამართლებრივ სიტვაციას ქმნის.[34]

მაშასადამე ი.გაბისონია მიიჩნევს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება და ხორციელდება მხოლოდ გამოძიების სტადიაზე კონკრეტული პირის - ბრალდებულის მიმართ და მას ადგილი არ აქვს სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე.

ზემოაღნიშნული მოსაზრებების გარდა, იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომლის თანახმად, სისხლისამართლებრივი დევნა უფრო ფართო მნიშვნელობით განიმარტება. კერძოდ, სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყისად მიჩნეულია არა სისხლის სამართალწარმოების დაწყევა, არამედ მომხდარი დანაშაულის ან დანაშაულის მომზადების შესახებ ინფორმაციის მიღების მომენტი.

სისხლის სამართლებრივი დევნის პრობლემატურ საკითხებზე მსჯელობისას ზოგიერთი მეცნიერი უფრო შორს მიდის და დაასკვნის, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა არის სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელი სტადია. იგი ხორციელდება გამოძიების შემდეგ და გრძელდება სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდშიც.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და მისი დამთავრების შესახებ აზრთა სხვაობა და ცალკეულ განმარტებათა ლოგიკურობა მთლიანობაში არ ცვლის ამ ინსტიტუტის არსს. სისხლისსამართლებრივი დევნა დღესაც განიხილება, როგორც სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა საპროცესო საქმიანობა, რომლის მიზანია დანაშაულის ჩამდენი პირის

[34] გაბისონია ი. დასახ. ნაშრ. 260- 262.

გამოვლენა და ამ უკანასკნელისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.[35]

იურიდიულ დოქტრინაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა შინაარსობრივად გულისხმობს:

ა) სისხლის სამართალწარმოების დაწყებას კონკრეტული პირის მიმართ;

ბ) დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებას;

გ) პირის ბრალდებულად ცნობას;

დ) პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას;

ე) მტკიცებულებების შეგროვების პროცესს, რომელსაც ემყარება ბრალდება, ასევე იმ დამატებითი მტკიცებულებების მოპოვებას, რაც საჭიროა ბრალდების შესავსებად ან დამატებითი ბრალდების წარსადგენად.

ვ) საბრალდებო აქტის შედგენას და სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გაგზავნას; ასევე სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერას სასამართლოში. სისხლისსამართლებრივი დევნის განსაზღვრება, თავის თავში შეიცავს ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩამონათვალს, რაც მისი საქმიანობის სტრუქტურას წარმოადგენს.[36]

გარდა ზემოაღნიშნულისა, სისხლისსმართლებრივ დევნაში მოიაზრებენ ასევე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებასაც, ვინაიდან ამ მოქმედებათა მიზანიც დანაშაულის ჩამდენი პირის გამოვლენაა. თუმცა ამ მოსაზრებას არ იზიარებს ზოიერთი ავტორი ვინაიდან ოპერატიულ-სამძებრო და სისხლის საპროცესოსამართლებრივ საქმიანობებს გააჩნიათ სხვადასხვა სამართლებრივი ბუნება, განხორციელების განსხვავებული მეთოდები და საშუალებები. ამასთან, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებისას პირმა, რომლის მიმართაც ხორციელდება ეს მოქმედება, სახელმწიფოსთან ასეთი სამართალურთიერთობის არსებობის შესახებ საერთოდ

[35] Сапронова Т.П დასახ. ნაშრ. 37.
[36] აბაშიძე გ. დასახ. ნაშრ. 69-70. ასევე Гриненко А. В., Уголовный процесс.: учебник — 2-е изд., перераб. — М.: Норма — 496 с., 2009 http://vse-uchebniki.com/ugolovnyiy-protsess-uchebnik/ponyatie-ugolovnogo-presledovaniya-ego.html ბოლოს გამოხმობიალია 2020 წ.

არაფერი იცის, რაც თავისთავად წინააღმდეგობაში მოდის სისხლისსამართლებრივი დევნის არსთან. მიუხედავად იმისა, იურიდიულ ლიტერატურაში მიმდინარეობს მსჯელობა და შეიმჩნევა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და სისხლის სამართალწარმოების დაახლოების ტენდენცია.

4.1 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება დაკავებით

როგორც უკვე ზევით აღვნიშნე, მოქმედი კანონმდებლობით სისხლისსამარტლებრივი დევნა განმარტებული არ არის, თუმცა განსაზღვრულია კონკრეტული სუბიექტი, რომელიც უფლებამოსილია, დაიწყოს და განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა - ეს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ბრალმდებლის, პროკურორის დისკრეციული უფლებაა. ამასთან, ჩვენი მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ადგენს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავების ან მისი ბრალდებულად ცნობისთანავე, თუ ის არ დაუკავებიათ.

დაკავებასთან დაკავშირებულ ნორმებს შეიცავს საქართველოს კონსტიტუცია, უფრო მეტად კი საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა და სამეცნიერო ლიტერატურა.

დაკავება ეს არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა, პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან. დაკავების მნიშვნელობა იმ კუთხითაა საყურადღებო, რომ პირს უფლებების შეზღუდვასთან ერთად ისინი ენიჭება კიდეც, ვინაიდან დაკავება ავტომატურად გულისხმობს პირის ბრალდებულად ცნობას, რაც მას მთელ რიგ უფლებებს ანიჭებს. მეორესმხრივ ბრალდებული არის პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ცაიდინა დანაშაული. ამის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია მას შემდეგ, რაც პირს შეეზღუდა თავისუფალი გადაადგილების უფლება. საპროცესო კოდექსის 171_ე მუხლი განმარტავს დაკავების საფუძვლებს:

1. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, ამასთანავე, პირი მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს, გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს პროკურორის შუამდგომლობით, ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება პირის დაკავების თაობაზე. ეს განჩინება არ საჩივრდება.

   ამასთან დაკავება შესაძლებელია სასამართლო განჩინების გარეშეც, თუ სახეზე გვაქვს გადაუდებელი აუცილებლობა.

   „ამ საკითხთან სისხლისსამართლებრივი დევნის დამწყები სუბიექტის რაობა მჭიდრო

კავშირშია, ამიტომაც განვიხილოთ თითოეული:

ა) პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენის მომენტში;

ბ) პირი დანინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა მისი დაკავების მიზნით;

გ) პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი;

დ) პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, მაგრამშემდგომ იგი თვითმხილველმა ამოიცნო;

ე) პირი შესაძლოა მიიმალოს;

ვ) პირი ძებნილია;“

იგივე მუხლი გვაძლევს ასევე განმარტებას, რომ განჩინების გარეშე დაკავება მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებშია შესაძლებელი. ესენია: „დასაბუთებული ვარაუდი, რომპირმა ჩაიდინა დანაშაული და მისი მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების, ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე თავიდან ვერ იქნება აცილებული სხვა, ალყერნატიული ღონისძიებით, რომელიც პროპორციულია სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებსა და ბრალდებულის პირადი მონაცემებისა.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინაერ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაკავების ორგვარი სახე არსებობს. ერთი გულისხმობს სასამართლოს განჩინების საფუძვლით დაკავებას და მეორე განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე. მეორე შემთხვევა პირდაპირ უკავშირდება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას იმ სუბიექტის მიერ, რომელსაც ამის დისკრეციული უფლებამოსილება არ გააჩნიათ.

4.2 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პირის ბრალდებით

პირის ბრალდებულად ცნობა სისხლისსამართლებრივი დევნის უბნიშვნელოვანესი ელემენტია, რომელსაც სერიოზული სამართლებრივი შედეგებიც მოაქვს.

პირის ბრალდებულად ცხნობის გზით სისხლისსამართლებრივი დევნის უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო და თანამდებობის პირი ოფიციალურად ამტკიცებს კონკრეტული პირის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

ზემოაღნიშნული დროიდან ბრალდებულს ეძლევა შესაძლებლობა, გაერკვეს მის მიმართ წაყენებული ბრალდების არსში (თუ რაში ედება ბრალი) და ამასთან ერთად, ენიჭება მთელი რიგი უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბრალდებულის თავდაცვისუნარიანობის გაზრდას.

სამართლის მეცნიერთა შორის არსებობს მოსაზრება, რომ გადაწყვეტილება პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ განვითარებას ბრალდების ფორმულირების დროზე გაცილებით ადრე იწყებს.

უფრო ზუსტადკი ასეთი გადაწყვეტილების მიღების ფორმირება იწყება საქმეზე ფაქტობრივი ნორმების შერჩევით და მთავრდება ბრალდების ფორმულირებით. აქედან გამომდინარე, ამ კუთხით სისხლისსამართლებრივ დევნაში გამოყოფენ სამ ეტაპს:

ა) ფაქტობრივი გარემოებებიდან დადგენა;

ბ) მოპოვებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასება, კვალიფიკაცია;

გ) ბრალდების ფორმულირება შესაბამის საპროცესო აქტში.[37]

აღნიშნული მოსაზრების საპასუხოდ შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ვერ იქნება კავშირში სისხლისსამართლებრივ დევნასთან, ვინაიდან ეს უკანასკნელი გულისხმობს საქმისწარმოებას კონკრეტულ პირთან მიმართებაში, ფაქტობრივი გარემოებანი კი შესაძლოა დადგინდეს ბრალდებულის გამოვლენის გარეშე და ეს გამოძიებასთან კავშირს გულისხმობს და არა სისხლისსამართლებრივ დევნას.

[37] ბ.მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, გამომცემლობა „მერიდიანი“.თბილისი. 2015. გვ107.

ჯერ ხორციელდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, შემდეგ მათი შეფასება და სწორედ შეფასების შემდეგ ედება საფუძვლად ფაქტები სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრას, ამდენად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებაა.

თავი V. სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია და გამოძიების ეტაპზე საპროცესო ხელმძღვანელობა

საქართველოს კანონმდებლობა, ერთი შეხედვით მკაფიოდ განსაზღვრავს პროკურორის სტატუსს და მას ექსკლუზიურად ანიჭებს სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას. სხვანაირად რომ ვთქვათ საპროცესო კოდექსის თანახმად, პროკურატურა კონკრეტული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებელი ორგანოა. აღნიშნული ფუნქციის სასრულებლად კი სხვა სამართლებრივ ბერკეტთან ერთად , ის აღჭურვილია გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობით.[38]

5.1 მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას სისხლისსამართლებრივ დევნად არ მიიჩნევს და ეს მოსაზრება შეიძლება დასაბუთდეს იმითაც, რომ პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა. ანუ კანონმდებელი პირდაპირ განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მომენტს. პროკურორმაკი გამოძიებისსაპროცესო ხელმძღვანელობა უნდა განახორციელოს გამოძიების დაჭყებისთანავე, მაშინაც, როდესაც ჯერ კიდევ არ არის გამოვლენილი დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირი. ასევე შესაძლებელია ასეთი პირი გამოკვეთილიც იყოს, ესეიგი სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს კიდეც, მაგრამ ამ შემთხვევაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა და სისხლისსამართლებრივი დევნა ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს.

განსხვავება სისხლისსამართლებრივ დევნასა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას შორის შეიძლება აიხსნას შემდეგნაირად : სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება პროკურორის მიერ გულისხმობს არა კონკრეტული ფაქტის ან გარემოს დადგენას ან ამ პროცესის უკეთ შესრულებაზე კონტროლის დაწესებას, არამედ იგი მიმართულია კონკრეტული პირის - ბრალდებულის წინააღმდეგ.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, დევნის განხორციელებად ითვლება პროკურორის მიერ მიღებული ის გადაწყვეტილება ან ჩატარებული საპროცესო მოქმედება, რომელიც ბრალდებულის

[38] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32_ე მუხლი.

სამართლებრივ მდგომარეობაზე შედეგობრივად აისახება. მაგალითად, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაში იგულისხმება, ბრალდების შეცვლა,ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენება, ქონებაზე ყადაღის დადება, პროკურორის მოქმედებები, რათა ბრალდებულს შეეფარდოს, შეეცვალოს ამ , მის მ,იმართ საერთოდ გაუქმდეს აღკვეთის ღონისძიება და ა.შ.

რაც შეეხება გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას, ის ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს 0 რაც შეიძლება კარგად, ამომწურავად, საპროცესო ნორმების დაცვის მიხედვით მოახდინოს ბრალდების მხარემ დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება. ეს არის პროკურორის მიერ გამოძიების უკეთ ჩატარებაზე კონტროლის განხორციელება. პროკურორი, ხომ პროცესის ის სუბიექტია, რომელიც თავის საქმიანობას გამომძიებლისგან განსხვავებით არ ამთავრებს გამოძიების სტადიაზე.

პროკურორი სასამართლოს წინაშე აგრძელებს ბრალდებულის მხილებას დანაშაულის ჩადენაში და ცდილობს სასამართლო დაარწმუნოს პირის დამნაშავეობაში. ამიტომ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა პროკურორს ესაჭიროება იმისათვის, რომ გამოძიების სტადიაზე შეიქმნას პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების და განხორციელების საფუძველი და საქმე წარიმართოს სასამართლოში, სადაც იგი გააგრძელებს სისხლისსამართლებრივ დევნას კანონით დადგენილი წესეს შესაბამისად. ჩვენ ასევე აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ პროკურორის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა სრულდება მაშინ, როდესაც იგი საქმეს წარმართავს სასამართლოში ან შეწყვეტს გამოძიებას.

თავი VI. სისხლისსამართლებრივი დევნის შედარებითი სამართლებრივი ანალიზი

6.1 სისხლისსამართლებრივი დევნა ინგლისში

ინგლისის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას საფუძვლად უდევს დოქტრინა იმის შესახებ, რომ სისხლის სამართლის საქმე ეს არის დავა ჩადენილი კონკრეტული დანაშაულის შესახებ, რომელიც სასამართლოში განიხილება ისევე, როგორც სხვა დავები (ქონებრივი, შრომითი და ა.შ.)[39]

ინგლისის სისტემა ეფუძნება კერძო ბრალდების ცნებას. გარკვეული პირების არსებობისას, ნებისმიერრ ადამიანს შეუძლია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება სავარაუდო დამნაშავე პირის წინააღმდეგ. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას რომ ინგლისის სასამართლო უჩივის გადავსებულ საქმეებს. პირიქით, ინგლისის ჩვეულებრივი მოქალაქე კმაყოფილდება მხოლოდ პოლიციელისთვის შეტყობინების სავარაუდო დარღვევის შესახებ და საქმის მათ ხელში დატოვებით.[40]

ერთ-ერთი მიზეზი თუ რატომაც არ აქვს კერძო პირს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების სურვილი ეს არის ფინანსური მდგომარეობა და საპროცესო ხარჯები, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია და უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს დევნის დამწყები პირისთვის უმთავრეს ეკონომიკურ დაბრკოლებას.

ინგლისში კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების დამატებითი დაბრკოლებაა სახელმწიფო ბრალდების ორგანოს დირექტორის სრული დისკრეციული უფლებამოსილება, თავის თავზე აიღოს კონტროლი ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე და გენერალური პროკურორის ძალაუფლება შეწყვიტოს ნებისმიერ სისხლისსამართლებრივ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა თუ ის ექვემდებარება სასამართლო განხილვას.

---

[39] მახარაძე ა. დასახ. ნაშ. 53.

[40] Kaufman I.R., Criminal Procedure in England and the United States: Comparisons in Initiating Prosecutions, Fordham Law Review, 1980, Volume 49, Issue 1, Article 8, 28., http://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2457&context=flr , ბოლოს გამოხმობილია, 05.07.2020; Королев Г.Н., დასახ. ნაშრ.., 319; Уголовный процесс, Под редакцией проф. Алексеева, 1995, http://www.bibliotekar.ru/ugolovnyi-process-3/191.htm , bolos gamoxmobilia 06.07.2014

ამ შეზღუდვების მიუხედავად, ინგლისელი კანონმდებლები პირის უფლებას დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა განიხილავენ როგორც მნიშვნელოვან კონსტიტუციურ მხარდაჭერას ამ პირის მიმართ, რათა საჯარო მოხელეების მხრიდან არ მოხდეს სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

საქართველოსგან განსხვავებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების კუთხით სხვა მდგომარეობაა ინგლისში. „დანაშაულთა დევნის შესახებ“ 1985 წლის კანონის მიღებამდე სისხლისსამართლებრივ დევნას იწყებდა და ახორციელებდა პოლიცია. თუმცა, 1879 წლიდან არსებობდა სახელმწიფო ბრალდების ორგანოც, რომელსაც ჰქონდა უფლებამოსილება განეხორციელებინა სისხლისსამართლებრივი დევნა, მაგრამ დევნას აწარმოებდა საქმეთა 10-15 პროცენტზე.

1985 წელს ინგლისში შეიქმნა გვირგვინის საბრალდებო სამსახური (Crown Prosecution Service), ასევე მიიღეს „გვირგვინის ბრალდებულთა კოდექსი“, რომელმაც სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება დაავალა სწორედ ზემოაღნიშნულ სამსახურს. ამ გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა ინგლისში გახდა მას შემდეგ რაც მიხვდნენ , რომ პოლიცია სისხლისსამართლებრივ დევნას ეფექტურად ვერ ანხორციელებდა უფრო კონკრეტულად კი ვერ ახერხებდა მუშაობას მტკიცებულებეთა შეფასების თვალსაზრისით. ზემოხსენებული სამსახურის გვირგვინის საბრალდებო სამსახურის შექმნის მიზანი იყო აღარ გაგრძელებულიყო სისხლისსამართალწარმოება სუსტ საქმეებზე.

ინგლისში ზემოთხსენებული გვირგვინის საბრალდებო სამსახური დღესაც ფუნქციონირებს და მას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია გენერაქლური პროკურორის წინაშე.

გვირგვინის ბრალმდებელთა კოდექსის თანახმად , ამ უკანასკნელებს უფლება აქვთ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყონ და განახორციელონ მნიშვნელოვან და რთულ სისხლის სამართლის მოცემულ საქმეებზე. როგორც ზემოთ მოცემული კოდექსიდან ჩანს, გვირგვინის ბრალმდებლების გარდა, გარკვეულ საქმეებზე სისხლისსამართლებრივ დევნას იწყებს და ახორციელებს პოლიციაც, რომელსაც დევნის განხორციელება ევალება ამავე კოდექსის შესაბამისად.

გარდა ამისა პოლიცია უფლებამოსილია ჩაქატაროს სრულყოფილი გამოძიება და გახსნას დანაშაული. ამ დროს გვირგვინის ბრალმდებლებს ეკისრებათ მრჩევლის როლი. ისინი გამუდმებით აძლევენ რჩევებს პოლიციას მტკიცებულებების მოპოვებასთან და სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში.. ინგლისელი კანონმდებლების აზრით ეს პოლიციას ეხმარება, რომ მათ

წარმატებით დაასრულონ გამოძიება და მოიპოვონ ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები. თუმცა ეს ყოველივე არ ნიშნავს იმას, რომ მათ ყოველთვის შეუძლიათ უხელმძვანელონ გამოძებას.

როდესაც პოლიციის მიერ მოხდება დანაშაულის ჩამდენი პირის გამოვლენა და მიზანშეწონილად ჩათვლის მის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის დაწყება-განხორციელებას, ასეთ დროს პირის მიმართ ხდება ბრალის ფორმალურად წაყენება. ეს პროცედურა მოიცავს მხოლოდ დანაშაულის ჩამდენი პირისა და დანაშაულის სოციალურ აღრიცხვაში შეტანას. ამის შემდგომ ხდება ბრალდებულის ოდფიცერზე წარდგენა სადაც გაეცნობა მას ბრალდების შინაარსი და არკვევს ხომ არ აქვს ბრალდებულს სურვილი აცნობოს რაიმე პოლიციას. ამის შემდეგ გამამტყუნებელ მასალას სრულად გადასცემს გვირგვინის ბრალმდებლებს. რომლებიც მიიღებენ გადაწყვეტილებას საქმის შემდგომის გაგრძელების შესახებ. აქვე საყურადღებოა, რომ ინგლისში ნაკლებად მნიშვნელოვან საქმეებზე, პოლიციას აქვს უფლებამოსილება გამოძიების ჩატარების შემდგომ დამოუკიდებლად შეწყვიტოს საქმის წარმოება.

ინგლისის კანონმდებლობის მიხედვით გვირგვინის ბრალმდებლებმა უნდა შეისწავლონ სისხლის სამართლის საქმე, გამოავლინონ საქმის სუსტი მხარეები იმ შემთხვევაში თუ დარწმუნდებიან , რომ საქმეში ამ დროისთვის არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები და მათი შევსება შეუძლებელია შემდგომი გამოძიებისათვის და არ არსებობს მაღალი საჯარო ინტერესი დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტონ საქმის წარმოება აღნიშნულ საქმეზე.. და პირიქით თუკი ვირგვინის ბრალმდებელი დარწმუნდება, რომ საქმეში არსებობს საკმარისი მტკიცებულებები შემდგომი გამოძიებისათვის უნდა დაიწყოს და განახორციელოს სისხლისამართლებრივი დევნა.

აქვე უნდა დავამატოთ, რომ ბრალმდებელმა სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით უნდა გაითვალისწინოს ყველა შესაძლო ვარიანტი , ცვლილება, რაც შეიძლება ამ საქმესთან დაკავშირებით მომავალში შეიძლება მოხდეს. ბრალმდებლებმა გამომძიებლებთან ერთად უნდა გაიარონ და განიხილონ საქმეზე გასატარებელი ღონისძიებები, როდესაც საჭიროა ბრალდების შეცვლა ან საქმის შეჩერება. გვირგვინის ბრალმდებელმა და საქმის გამომძიებელმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ თუმცა საქმე გაგრძელდება თუ შეწყდება ამ გადაწყვეტუილებას დამოუკიდებლად გვირგვინის ბრალმდებლები იღებენ და საქმესთან დაკავშირებული პასუხისმგებლობაც მათ ეკისრებათ.

აღსანიშნავია ასევე ის ფაქტიც რომ ბრიტანეთის პარლამენტმა განსაზღვრა დანაშაულთა კატეგორიები, რომელთა სასამართლოში წარმართვა და ამ დანაშაულებში ბრალდებულ პირთა მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მოითხოვს გვირგვინის

საბრალდებო სამსახურის დირექტორის ან გენერალური პროკურორის თანხმობას. ასეთი საქმეებიაოფიციალური საიდუმლოების დარღვევა და სხვა..

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე როგორც ჩანს ინგლისში სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებია-განხორციელება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. კერძოდ, საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ნორმებისგან განსხვავებით, ინგლისში დევნას იწყებან და ახორციელებენ როგორც პოლიცია, ასევე სპეციალურად შექმნილი გვირგვინის საბრალდებო სამსახური. ეს ეს ორგანო საქართველოს პროკურატურის მსგავსად იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების და განხორციელების შესახებ. მაგრამ გვირგვინის სამსახურისგან განსხვავებით საქართველოში ყოველთვის პროკურორი წყვეტს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება განხორციელების მიზანშეწონილობას . (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 166-ე მუხლი. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონი მე-14 მუხლი.).

6.2 სისხლისსამართლებრივი დევნა საფრანგეთში

როგორც ყველგან საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც გარკვეული თავისებურებეით ხასიათდება და მასთან რათქმაუნდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების წესიც. საფრანგეთის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით სისხლისსამართლებრივი დევნა დაკავშირებულია საჯარო სარჩელთან. ტერმინები სისხლისსამართლებრივი დევნა და საჯარო სარჩელი თანაბარმნიშვნელოვან ცნებებად განიხილება საფრანგეთის სამართალწარმოებაში.

ზემოთ ხსენებული ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, საჯარო სარჩელი ეს არის პროკურორისა და სხვა მოხელეთათვის კანონით მინიჭებული უფლება სასჯელის გამოყენების უზრუნველსაყოფად.[41]

საფრანგეთის სამართალწარმოებაში გამოყოფენ საჯარო სარჩელის აქტიურ და პასიურ სუბიექტებს. პასიური სუბიექტები არიან პირები, რომელთა მიმართაც ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა. ასეთი პირი ამ შემთხვევაში შეიძლება ცნობილი იყოს ან შეიძლება არც იყოს ცნობილი. საჯარო სარჩელის აქტიურ სუბიექტებს რაც შეეხება, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე ესენი არიან უპირველეს ყოვლისა პროკურატურა, რომელსაც განსაკუთრებული უფლებები და როლი აქვს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება - განხორციელებისას.

საფრანგეთის პროკურატურა უფლებამოსილია განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა და ამისათვის იყენებს საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას. სისხლისსამართლებრივი დევნისას პროკურორი მოქმედებს ხალხის სახელით, სწორედ ამიტომ საფრანგეთში ხშირად პროკურორს საზოგადოების ადვოკატსაც უწოდებენ. პროკურატურისათვის დამახასიათებელია მკაცრი იერარქია. მაღალი ინსტანციის სასამართლოებში საჯარო ბრალდებას ახორციელებს რესპუბლიკის პროკურორი, რომელსაც ჰყავს მოადგილეები. საჯარო ბრალდებას ახორციელებს გენერალური პროკურორიც, რომელსაც ამ ფუნქციის განსახორციელებლად ეხმარებიან მოადგილეები. ხოლო პროკურატურის უმაღლესი წარმომადგენელია იუსტიციის მინისტრი.[42]

საფრანგეთის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით ზოგიერთ სემთხვევებში სასამართლოში საჯარო სარჩელის აღძვრის უფლება აქვს ზოგიერთ ადმ. ორგანოსაც. ეს უკანასკნელი ხდება სატყეო, წყალმომარაგების და აგრარულ საკითხებთან დაკავშირებით და მას

[41] Code de rocedure penale, 23 edition, paris, 2012, 137-167, 573-619.
[42] Code de procedure penale (francais), art 31, 51 edition, paris, 2010, 134.F. Molins. დასახმარებელი. ნაშრ. 4-5.

ახორციელებს ზემოაღნიშნული ორგანოს დირექტორის სახელით. ეს ორგანოები შეიძლება მოქმედებდნენ დამოუკიდებლად და პროკურასთან თანამშრომლობით.

საფრანგეთში როგორც შემდგომშიც მოგახსენებთ არსებობს წინასასამართლო სისხლის სამართალწარმოების სამი სტადია : მოკვლევა, წინასწარი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. მოკვლევას საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესში უდიდესი როლი ენიჭება. მას პროკურორის ზედამხედველობის ქვეშ აწარმოებს პოლიცია. ამ დროს მიმდინარეობს მტკიცებულებების მოპოვება და შესაძლებელია პირის დაკავებაც. მოკვლევა საფრანგეთის სამართალწარმოებაში ტარდება სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრამდე. ამის შემდეგ პროკურორის მიერ ხდება მიღებული საჩივრის - მტკიცებულებების შეფასება და მხოლოდ ის იღებს გადაწყვეტილებას საქმის შემდგომი აღძვრის თაობაზე.[43] თუმცა აქვე აღსანიშნავია , რომ პროკურორს უფლება აქვს სისხლისსამართლებრივი დევნა აღძრას მოკვლევის წარმოების გარეშეც, რაც გამოიხატება საქმის მასალების გამოძიების მოსამართლესთან ან სასამართლოში გადაგზავნაში. საფრანგეთში პროკურორი ასევე უფლებამოსილია სასამართლოში მხარი დაუჭიროს ბრალდებას.

[43] Code de procedure penale (francais), 51 edition, paris, 2010,

თავი VI I. წინასასამართლო სხდომა და სისხლისსამართლებრივი დევნა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავს, თუ რას ნიშნავს წინასასამართლო სხდომა თუმცა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე და 220ე მუხლებში მოცემულია ძირითადი საკითხები, რომლებიც უნდა გადაწყდეს წინასასამართლო სდომაზე საქმის არსებითი განხილვისათვის მოსამზადებლად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია სასამართლო შეცდომების აღმოფხვრისა და მინიმუმამდე დაყვანის მექანიზმები. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოში არანეკლებ ორი და ხშირ შემთხვევაში, სამი სხვადასხვა შემადგენლობის მიერ სისხლის სამართლის პროცესისათვის არსებითი საკითხების გადაწყვეტა მაგ: პირის ბრალეულობის შესახებ საფეხურებრივად სამი სტანდარტის დაწესება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, გარდა საპროცესო შეთანხმების დასამტკიცებლად აუცილებელი სტანდარტისა; პატიმრობის აუცილებლობის არაერთხელ განხილვის ვალდებულება.

წინა სასამართლო სხდომა მეორე სტადიაა, რომლის საშუალებითაც ხდება გამოძიების, მათ შორის პირველი წარდგენის დროს დაშვებული შეცდომების აღმოფხვრა და მინიმუმამდე დაყვანა. თუმცა, მთავარი არსი სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისათვის მომზადებაა და გადაწყვეტილების მიღება მტკიცების შესაბამისი სტანდარტით გადაეცეს თუ არა საქმე არსებითად განსახილველად, ხოლო შეცდომების აღმოფხვრა და მინიმუმამდე დაყვანა არის თანმდევი, საზედამხედველო საქმიანობა, რომელიც გარდაუვლად და თავისთავად სრულდება წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ საქმის არსებით განხილვამდე ტარდება წინასასამართლო სხდომა, სადაც მონაწილე მხარეები წარადგენენ მტკიცებულებებს, განიხილავენ შუამდგომლობებს მტკიცებულებებთან მიმართებაში. მოსამართლეს შეუძლია, მტკიცებულება, რომლის მოპოვების სამართლიანობაც საეჭვოა გამოაცხადოს არაკანონიერად. წინასასამართლო სხდომაზე ხდება აგრეთვე აღკვეთის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ბრალდებულის მაგისტრანტ მოსამართლესთან პირველი წარდგენის შემდეგ თუ ბრალდება შეიცვალა, მოსამართლე წინასასამართლო სხდომის

ეტაპზე მას განუმარტავს ბრალდების არსს და ამ ბრალდებით გათვალისწინებული სასჯელის ზომას.

წინასასამართლო სხდომის ეტაპზე მოსამართლე აუცილებლად არკვევს , ცნობს თუ არა პირი - ბრალდებული თავს დამნაშავედ ბრალმდებლის მიერ წარდგენილ ბრალდებაში და რა მოცულობით, ამავე ეტაპზე მოსამართლე არკვევს შესაძლებლობას საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოქმედებები საპროცესო შეთანხმების შესახებ.

თუ ბრალდებულს ბრალი წაუყენეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი დანაშაულის ჩადენისათვის, მოსამართლე ვალდებულია ბრალდებულს განუმარტოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო კანონით გათვალისწინებული დებულებები და მასთან დაკავშირებული ბრალდებულის უფლებები.ამის შემდეგ მოსამართლე არკვევს, თანახმაა თუ არა ბრალდებული, რომ მისი საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილოს. თუ ბრალდებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უარს არ განაცხადებს, მოსამართლე ნიშნავს მსაჯულთა შერჩევის სხდომის თარიღს.

წინასასამართლო სხდომის მოსამართლე, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე. მოსამართლე ასევე განიხილავს სსსკ_ის 206ე მუხლით დადგენილი წესითა და სტანდარტით აღკვეთი ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობებს. თუ ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარდებული, მოსამართლე ვალდებულია პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, დააყენა თუ არა მხარემ შუამდგომლობა პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამის შემდეგ სასამართლო იღებს ვალდებულებას თავისი ინიციატივით ორ თვეში ერთხელ მაინც განიხილოს პატიმრობის ძაქლაში დატოვების საკითხი.

წინასასამართლო სხდომაზე ასევე განიხილება შუამდგომლობა საპროცესო კონფისკაციის უზრუნველყოფის მიზნით და განიხილავს მხარეთა სხვა კანონით გათვალისწინებულ შუამდგომლობებს.

წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე უფლებამოსილია გადაწყვიტოს საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე გადასხვლის საკითხი, ანუ მოსამართლე წინასასამართლო სხდომაზე უფლებამოსილია საქმე არ გადასცეს არსებითად განსახილველად სასამართლოს. არსებითი განხილვისთის საქმის გადაცემა დასაშვებია წინასასამართლო სხდომაზე იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები

ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა.

თუ ბრალდების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით არ იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განჩინებით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას.

წინასასამართლო სხდომის განჩინება ერთჯერადად საჩივრდება, მისი გამოტანიდან 5 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. მოსამართლე საჩივარს ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე განიხილავს. წინასასამართლო სხდომის მოსამართლის განჩინების გაუქმების შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია საქმეს უბრუნებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც საქმის მიღებიდან 5 დღის ვადაში უზრუნველყოფს წინასასამართლო სხდომის გამართვას სსსკ _ის 220ე მუხლით გათვალისწინებული საკითხების გადასაწყვეტად.

რაც შეეხება წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დასაშვებობისწ შესახებ ერთჯერადად საჩივრდება 5 დღის ვადაში გადაწყვეტილების გამოტანიდან ამავე გადაწყვეტილების გამომტანთან, რომელიც საქმის მასალებს,საჩივარს და წინსასამართლო სხდომის ოქმს დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს.[44]

[44] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 219_ე მუხლი.

7.1 წინასასამართლო სხდომის დანიშნულება

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე წინასასამართლო სხდომა სისხლის სამართლის პროცესის გარდამავალი სტადიაა. ამ სხდომის დანიშნულება საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის საკითხის გადაწყვეტა და მომზადებაა. (სსსკ_ის 219_ე და 220_ე მუხლები)

თუ პროკურორი უარს არ იტყვის სისხლისსამართლებრივი დევნაზე და ამასთან, მხარეთა შორის არ არის დადებული საპროცესო შეთანხმმება წინასასამართლო სხდომის ჩატარება ყოველთვის სავალდებულოა, ვიდრე სისხლის სამართლის საქმე სასამართლოს არსებითად განსახილველად გადაეცემა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208_ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მაგისტრანტი მოსამართლე მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ განსაზღვრავს წინასასამართლო სხდომის თარიღს, რომლის დროსაც ითვალისწინებს მხარეთა პოზიციას, საქმის სირთულეს,მოცულობასა და მხარეებს აძლევს საკმარის დროსა და საშუალებას დაცვისა და ბრალდების მოსამზადებლად. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, წინასასამართლო სხდომა უნდა გაიმართოს პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან არა უგვიანეს, 60 დღის. მოცემული ნორმა არის დამატებითი გარანტი ბრალდებულისთვის სწრაფი მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად. სასამართლო პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევა, როცა მაგისტრანტმა მოსამართლემ უარი უთხრა ბრალდების მხარეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან ერთად, წინასასამართლო სხდომის თარიღის დანიშნვაზე. აღნიშნული განჩინება ბრალდების სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელმა მხარემ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრა სსსკ-ის 207-ე მუხლით, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცალკე პროცედურას არ იცნობს, რომ გაასაჩივროს მაგისტრანტი მოსამართლის უარი წინასასამართლო სხდომის დანიშვნასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში თუ სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი მხარე მაგისტრანტ მოსამართლეს მარტო წინასასამართლო სხდომის თარიღის განსასაზღვრად მიმართავდა და მოსამართლე უარს ეტყოდა თარიღის განსაზღვრაზე, მაშინ ბრალდების მხარეს არ ექნებოდა განჩინების გასაჩივრების უფლება და საქმე განუხილველი დარჩებოდა. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემ განმართა შემდეგნაირად, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 ნათილის თანახმად, წინასასამართლო სხდომა უნდა გაიმართოს პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან არაუგვიანეს 60 დღისა, რაც ნიშნავს შემდეგს,

რომ დაკავებიდან ან ბრალდებიი წარდგენიდან მაქსიმუმ, 60 დღე არის ის გონივრული ვადა, რომლის შემდეგაც უნდა გაიმართოს წინასასამართლო სხდომა. ამ ვადის დაწესება ემსახურება ბრალდებულის ინტერესების დაცვას და სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებასა და პრაქტიკაში დანერგვას. იმისათვის, რომ დაიწყოს აღნიშნული ვადის დინება, პირი უნდა იყოს დაკავებული ან ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემული. ვინაიდან პირი დაკავებისთანავე ითვლება ბრალდებულად, კანონმდებელმა დააკონკრეტა ის შემთხვევაც, როცა იგი არ ყოფილა დაკავებული, მაგრამ ცნობილი იყო ბრალდებულად და მის მიმართ მიმდინარეობდა სისხლისსსანმართლებრივი დევნა. აქედან გამომდინარე წინასასამართლო სხდომის გამართვის მომენტისთვის პირი უნდა იყოს დაკავებული ან მას წარდგენილი უნდა ქონდეს ბრალი, მაგრამ რათქმაუნდა საყურადღებოა ის, რომ დაკავებიდან ან ბრალდების წარდგენიდან წინასასამართლო სხდომამდე არ უნდა იყოს გასული 60 დღეზე მეტი.[45]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე8 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ბრალდებულს აქვს უფლება სწრაფი მართლმსაჯულებისა კოდექსით დადგენილ ვადებში. ეს პრინციპი ბრალდებულის უფლების დაცვაზეა მორგებული და იმ შემთხვევაში, თუ დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დადგენილი ვადა, ეს თავად ბრალდებულის სასარგებლოს უნდა იქნას განმარტებული. შესაბამისად თუ არ გაიმართა წინასასამართლო სხდომა პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან არაუგვიანეს, 60 დღისა, მაშინ მაგისტრანტ მოსამართლეს უნდა ქონდეს კანონით მინიჭებული უფლება უარი უთხრას სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ მხარეს წინასასამართლო სხდომის განსაზღვრაზე და შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო ბრალმდებელს- პროკურორს თავისთავად უნდა ჰქონდეს უფლება, აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, წინასასამართლო სხდომა უნდა გაიმართოს როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან (თუ ის დაკავებული არ არის) არა უგვიანეს, 60 დღისა, თუმცა არსებობს გამონაკლისი შემთხვევაც, როცა მხარეს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს დასაბუთებული შუამდგომლობით აღნიშნული ვადის გონივრულ ვადამდე გაგრძელების ან შემცირების შესახებ, რის თაობაზეც უნდა აცნობოს მეორე მხარეს, ხოლო ამის შემდეგ მეორე მხარე უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრება წერილობითი სახით 3 დღის ვადაში წარადგინოს. ამ ვადის

[45] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, მთ.რედ: გ.გიორგაძე, თბილისი, „მერიდიანი“ 2015 გვ653.

გასვლის შემდეგ, სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე და მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება. აქვე დაინტერესება გამოიწვია თუ რა ვადა იგულისხმება „გონივრულ ვადამდე გაგრძელებაში“?

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით „პატიმრობის ვადა წინასასამართლო სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 60 დღეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ პირი უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან, გარდა ამ კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-3 ნაწილი მგვითითებს ისევ 208-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომელიც არ განმარტავს რა ვადის გასვლის შემდეგ შეიძლება გაიმართოს წინასასამართლო სხდომა იმ შემთხვევაში თუ მხარე სასამართლოს დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართავს წინასასამართლო სხდომის გაგრძელებასთან დაკავშირებით?!

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, „დანაშაულის ერთი შემთხვევის გამო წინასასამართლო სხდომის დაწყებამდე პირი ბრალდებულად ცნობილი შეიძლება იყოს არა უმეტეს 9 თვისა, თუ ამ ვადის გასვლამდე მისთვის დანაშაულის სხვა შემთხვევის გამო არ წაუყენებიათ ახალი ბრალი. ასეთი ბრალის წაყენებისას, აღნიშნული ვადის დინება წყდება და ვადა აითვლება ახალი ბრალის წაყენების დღიდან“. ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. ბრალდებულის პატიმრობის ვადა აითვლება მისი დაკავების მომენტიდან, ხოლო თუ დაკავება არ მომხდარა - ამ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულების მომენტიდან, საქმის არსებითად განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანამდე“. ამ მუხლების ანალიზის მიხედვით ვასკვნით, რომ „გონივრულ ვადაში“ მოიაზრება 9 თვე, ხოლო თითოეული ხელახალი დანასაულის შემთხვევაში, წინასასამართლო სხდომის ვადა შეიძლება გაგრძელებულიყო 9 თვე, რომ არა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე “ საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (საკონსტიტუციო სარჩელი N646).[46] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულის დაპატიმრება თანაბრად უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევას თითოეულ ბრალდებასთან მიმაღთებაში. შესაბამისად, თითოეული სისხლის სამართლის

[46] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქ. მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. N3/2/646 2015 წლის სექტემბერი.

საქმეზე 9 თვიანი ზღვრული ვადის გამოთვლისას, ამ ვადაში უნდა ჩაითვალოს ის პერიოდი, რომელიც პირმა ბრალდების შემდეგ პატიმრობაში გაატარა მის მიმართ წარმოებული სხვა საქმის ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის ინ ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის პატიმრობას, თუ ამ საქმეზე ბრალის წაყენების ან ბრალის წაყენებისთვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ, მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე, მის მიმართ მიმდინარე ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე, მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვითაც მსგავსი საკანონმდებლო ნორმის საფუძველზე ბრალდებულისთვის კანონით განსაზღვრული პატიმრობის ვადის გაგრძელება ადამიანის უფლებათა ევროპული დაცვის კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევად იქნა მიჩენეული.[47]

საქართველოს კონსტიტუციის 18-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს“ და ზემოთ მოტანილი მსჯელობის მიხედვით ვასკვნით, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემული ტერმინი „გონივრულ ვადამდე გაგრძელებაში“ იგულისხმება 9(ცხრა) თვემდე ვადა.

დასკვნის სახით, რომ ვთქვათ, წინასასამართლო სხდომა არის გამოძიების შემდგომი, პირველი სასამართლო სტადია, რომლის დროსაც მხარეები წარადგენენ და სასამართლო ადგენს თუ რამდენად კანონიერად და სამართლებრივი ნორმების დაცვით არის მოპოვებული მტკიცებულებები მხარეების მიერ, რომელთა გამოყენებასაც ისინი აპირებენ საქმის არსებითად განხილვის დროს. მტკიცებულებეთა დასაშვებობის საკითხის განხილვის შემდეგ, მოსამართლე დასაშვებ მტკიცებულებებს ერთობლიობაში ამტკიცებს და წყვეტს, ადასტურებენ თუ არა ზემოაღნიშნული მტკიცებულებები, მაღალი ალბათობის ვარაუდით, რომ დანაშაული ბრალდებულმა ჩაიდინა. წინასასამართლო სხდომის არსებობით, უზრუნველყოფილია სისხლის სამართლის პროცესის სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი, რადგან არსებით სხდომაზე განსახილველად არ გადაიგზავნება ყველა საქმე, ხოლო გადაგზავნის შემთხვევაში მხარეებს უკვე აღარ უწევთ დროის დაკარგვა მტკიცებულებების დასაშვებობა არდასაშვებობის საკითხზე, ისინი

[47] ადამიანთა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „Sabelj V. Croatia,” განცხადების ნომერი 4429/09, 2011 წლის 28 ივნისი.

გამოიკვლევენ და დასკვნით სიტყვაში გაამახვილებენ ყურადღებას ისეთ მტკიცებულებებზე, რომელიც კიდევ სადავოა მხარისათვის.

თავი VIII. წინასასამართლო სხდომის შედარებითი სამართლებრივი ანალიზი

8.1 წინასასამართლო სხდომა აშშ-ში

ამერიკის შეეღთებული შტატების განსახილველად შერჩევა მოხდა იმ პრინციპით, რომ საქართველოს მსგავსად ისინიც ძირითად სახელმძღვანელო პრინციპად მხარეთა შეჯიბრებითობას იყენებენ.

ამერიკული პოლიტიკური სისტემის ნაწილის გაკონტროლებისა, მთავრობის ძალაუფლების დაბალანსებისათვის და პროკურატორის მიერ დაწყებული სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების შემოწმებისათვის, გამოიყენება წინასასამართლო სხდომა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

ამერიკის სისხლის სამართლის პროცესის ფედერალური კანონის მე-2 თავი მთლიანად ეხება წინასასამართლო პროცედურებს და მასში ასევე, განხილულია წინასასამართლო სხდომაც. ფედერალური კანონის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 5.1 მუხლში მთლიანად საუბარია წინასასამართლო სხდომაზე და მაგისტრანტ მოსამართლეს ავალდებულებს წინასასამართლო სხდომის ჩატარებას გარდა იმ შემთხვევისა, როცა ბრალდებულს ბრალი ედება წვრილმანი ხასიათის დანაშაულში.

წინასასამართლო სხდომა უნდა ჩატარდეს მიუხედავად იმისა, თუ ბრალდებული უარს ამბობს მოსმენაზე; ბრალდებული ნასამართლევია; პირს ბრალი ედება სახელმწიფო ღალატში ფედერალური კანონის 7(B) მუხლით განსაზღვრულ ქმედებაში; პირს ბრალი ედება ისეთ ქმედებაში, რომლითაც გათვალისწინებული სასჯელის ზომა 1 (ერთი) წელია; ბრალდებულის

ქმედება ითვალისწინებს საჯელს 1 (ერთ) წელზე ნაკლებს და თანახმაა, რომ მისი საქმე განხილულ იქნას, ვიდრე მაგისტრანტი მოსამართლე განიხილავს.[48]

წინასასამართლო სხდომა შეიძლება ჩატარდეს დანაშაულის ან დაკავების ადგილზე. მაგისტრანტმა მოსამართლემ თუ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული წინასასამართლო სხდომა უნდა ჩაატაროს პირველი წარდგენიდან არაუგვიანეს, 14 დღისა, ხოლო თუ პატიმრობაში არ არის არაუგვიანეს, 21 დღისა. ბრალდებულის თანხმობის შემთხვევაში, წინასასამართლო სხდომა შეიძლება რამდენჯერმეც ჩატარდეს მაღალი საჯარო ინტერესის გამო ან თუ ამას მოითხოვს სამართლიანი სასამართლო. ასევე წინასასამართლო სხდომაზე ბრალდებულს შეუძლია დაკითხოს მოწმე და განიხილოს მტკიცებულებები, მაგრამ მას არ შუძლია მოითხოვოს იმ მტკიცებულებების გამოკვლევა, რომელიც მისი აზრით კანონის დარღვევით არის მოპოვებული.

წინასასამართლო სხდომის მოსამართლე თუ აღმოაჩენს, რომ არაა ჩადენილი დანაშაული ან არ არსებობს საკმარისი საფუძველი, რომ დანაშაული ბრალდებულმა ჩაიდინა, მოსამართლე უფლებამოსილია შაჩეროს (მტკიცებულებების მოპოვებამდე) სისხლისსამართლებრივი დევნა და გაათავისუფლოს ბრალდებული პასუხისმგებლობისაგან. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება იმას არ გულისხმობს, რომ შემდგომში პროკურატურას უფლება აღარ ექნება სისხლისსამართლებრივი დევნა გააგრძელოს პირის მიმართ იმავე ქმედების გამო.[49]

[48] RONALD J.B. MARY KELLY T." CRIMINAL LAW and PROCEDURE. UNITED STATE" : CENGAGE LERNING – 4, 2015, P. 257.

[49] Federal Rules of Criminal Procedure, Title ll /https://www.law.cornell.edu/rules/frcrmp/

8.2 წინასასამართლო სხდომა საფრანგეთში

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსხვავდება ანგლო - ამერიკული სამართლის სისტემებისგან. ამერიკა და ინგლისი ხშირად აკრიტიკებს საფრანგეთში არსებულ წინასასამართლო გამოძიებას, რომლის დროსაც მოსამართლე ხელმძღვანელობს გამოძიებას და ახდენს ბრალდებულის დაკითხვას.[50]

საფრანგეთის კანონი ოთხი სახის გამოძიებასა და მტკიცებულებების შეგროვებას იცნობს. ერთ ერთი მათგანია წინასწარი გამოძიება, რომელსაც ხელმძღვანელობს მაგისტრანტი მოსამართლე, საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლის მიხედვით, წინასწარი გამოძიების ჩატარება თითქმის ყოველთვის სავალდებულოა.

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 181-ე მუხლში მოცემულია ის ძირითადი საკითხები, რაც მაგისტრანტმა მოსამართლემ (გამომძიებელი მოსამართლე) უნდა გადაწყვიტოს. საფრანგეთში, მაგისტრანტი მოსამართლე (გამომძიებელი მოსამართლე) ძირითადად, იმ საკითხებს განიხილავს და წყვეტს, რაც საქართველოშიც წინასასამართლო სხდომის მოსამართლე. ამ სტადიაზე გამომძიებელი მოსამართლე ახდენს ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციას და თუ ჩათვლის, რომ ჩადენილია მძიმე დანაშაული, მაშინ საქმეს ნაფიც მსაჯულეთა სასამართლოს გადასცემს განსახილველად.

[50] JAMES W. Garner. Criminal Procedure in France, The Yale Law Journal Companay, Inc. P.256.

თავი IX. კვლევის შედეგები

ნაშრომის თითოეული თავი დაწერილია როგორც ქართული ისე უცხო ლიტერატურის გამოყენებით, რომელთა დახმარებითაც დავიწყეთ ზემოაღნიშნულ საკითხზე მსჯელობა, განვავრცეთ ის და მივედით საბოლოო შედეგამდე, რამაც მოგვცა იმის საშუალება, რომ გაგვეკეთებინა დასკვნები.

მეორე თავში გამოყენებული ლიტერატურის დახმარებით გავიგეთ ზოგადა თუ რას ნიშნავს სისხლისსამართლებრივი დევნა და რას მოიცავს ის თავისი შინაარსით. ჩვენ აღნიშნულ თავში ძალიან კარგად გვაქვს წარმოდგენილი ის ეტაპები რაც გამოიარა სისხლისსამართლებრივმა დევნამ როგორც მართლმსაჯულებისათვის აუცილებელმა ბერკეტმა, ჩვენ გვხვდება, როგორც ქართველი ისე უცხოელი იურისტ მეცნიერების შეხედულებები თავში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. მეორე თავში მოცემული სისხლისამართლებრივი დევნის სწორი მნიშვნელობა საქართველოს მაგალითზე. აღნიშნულ თავში მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის განვითარების გზა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. საქართელოში სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს პროკურორი საქართველოს სისხლის სამართლის აპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვის შესაბამისად.

მესამე თავში ვრცლად არის წარმოდგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ისტორიული წანამძღვრებები. სისხლისსამართლებრივ დევნას სისხლის სამართლის პროცესში უდიდესი როლი აქვს და ის ერთადერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია დანაშაულთან ბრძოლის და დამნაშავეთა დასჯის პროცესში. აღნიშნულ თავში ვიგებთ, რომ სწორედ დანაშაულთან ბრძოლა და დამნაშავეთა კანონის შესაბამისად დასჯის საჭიროება გახდა მიზეზი იმისა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება დახვეწილიყო როგორც გამძიების ეტაპზე ისე წინასასამართლო სხდომისა და არსებითად განხილვის ეტაპზე.

შემდგომ თავებში ჩვენ განვიხილეთ სისხლისამართლებრივი დევნის კიდევუფრო შინაარსობრიივი და პროცესუალური მხარეები, გავიაზრეთ სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების, გაგრძელების და შეწყვეტის საფუძვლებიი, რომ სისხლისასმართლებრივი დევნის დასაწყებად საჭიროა სახეზე გვქონდეს დანაშაული, ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ იმისათვის რომ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა აუცილებელი არ არის საქმეში ჩანდეს პირი ვინც ჩაიდინა უშუალოდ ანაშაულებრივი ქმედება არამედი ის რომ ბრალდების განმახორციელებელ ორგანოს სახეზე ექნება დანაშაული და დაიწყებს საგამოძიებო ორგანო დამნაშავე პირის

გამოვლენისათვის საჭირო ოქმედებებს, ეს უკვე ითვლება სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებად.

ჩვენ ასევე გავეცანით წინასასამართლო სხდომას მის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გაწერილ ფუნქციებს და გავიგეთ, რომ წინასასამართლო სხდომა ეს არის ეტაპი, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოს განმუხტვას ისეთი საქმეებისგან რომელზედაც არ გაგვაჩნია ბრალდების სამტკიცებლად საკმარისი მტკიცებულებები. გამომდინარე აქედან შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინასასამართლო სხდომაზე ხდება სისხლისსამართლებრივი დევნა შემდეგნაირად: ბრალმდებელი სისხლისამართლებრივი დევნის ფარგლებში უფლებამოსილია და ვალდებულია წარმოადგინოს ის მტკიცებულებები რომელიც დაკავშირებულია საქმესთან და ამტკიცებს პირის ბრალეულობას აღნიშნულ სისხლისამართლის საქმესთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში წინასასამართლო სხდომა იტოვებს უფლებამოსილებას, რომ საქმეში საკმარისი მტკიცებულებების არ არსებობის არ/და საქმეში არსებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის მიზეზით საქმე არსებითად განმხილველ სასამართლოს არ გადასცეს და წარმოება შეწყვიტოს.

საქართელოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით სისხლისსამართლებრივი დევნა წინასასამართლო სხდომაზე ხორციელდება, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე მტკიცებულებათა წარდგენით, ეს სწორედ ის მტკიცებულებაზეა საუბარი რომელიც შემდგომში უნდა გახდეს ბრალდებულისათვის გამამტყუნებელი სასჯელის გამოტანის მიზეზი და საფუძველი. შესაბამისად თუკი სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანო - პროკურორი ვერ შეძლებს წინასასამართლო სხდომის ეტაპზე სრულფასოვანი საქმის წარმოებას და მოსამართლე უსაფუძვლოდ ჩათვლის ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ საქმეს სასამართლო პროცესზე, ეს იმას ნიშნავს , რომ სისხლისსამართლებრივი დევნა სრულყოფილად ვერ განხორციელდა და წინასასამართლო სხდომის მოსამართლე აღნიშნულ ბრალდებას უსაფუძვლოდ ჩათვლის. ამიტომაც დიდი კიდევ და კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება უმნიშნელოვანესია საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში.

ნაშრომის ფარგლებში ჩვენ ასევე გავეცანით სხვა სახელმწიფოთა მოდელებს, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის თვალსაზრისით ასევე წინასასამართლო სხდომასთან მიმართებაში და შეგვიძლია ვთქვათ, რომ თითოეულს სახელმწიფოს ინდივიდუალურად აქვს თავისი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მორგებული ამ ორ ინსტიტუტთან მიმართებაში. თითოეულ მათგანს გააჩნიათ ინდივიდულაური სამართალწარმოების მეთოდები და ისინი განსაზღვრული აქვთ სისხლის სამართლის კანონმდებლობებში. ინგლისი, საფრანგეთი,

ამერიკის შეერთებული შტატები, ყველა ეს განვითარებული სახელმწიფო ძალიან კარგად იაზრებს სისხლის სამართლებრივი დევნის მნიშვნელობას, წინასასამართლო სხდომის არსს და დანიშნულებას, კიდევ უფრო ცდილობენ ამ ინსტიტუტის სრულყოფას, სწრაფი მართლმსაჯულებისა და დანაშაულთან ბრძოლის შედეგიანობისათვის.

დასკვნა

ნაშრომის დასასრულს, დასკვრის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნიშნეთ, სისხლისსამართლებრივი დევნის არსის ირგვლივ არსებობს არაერთგვარი მოსაზრებები. ამ მოსაზრებებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მართებულად უნდა ჩაითვალოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმართულია კონკრეტული პირის წინააღმდეგ. სისხლისსამართლებრივი დევნა ხდება იმ მომენტიდან, როდესაც სისხლისსამართალწარმოებაში მოხვდება დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირი ანუ ბრალდებული.

მანამდე წარმოებული საპროცესო თუ საგამოძიებო მოქმედებები, მიუხედავად იმისა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ერთადერთი სუბიექტის პროკურორის მიერ იყოს შესრულებული, სისხლისსამართლებრივ დევნად ვერ ჩაითვლება, რადგანად ზემოაღნიშნული პროცესი მიმართულია კონკრეტული გარემოებების დასადგენად. სწორედ ამ გარემოებების გამოკვლევა - დადგენის და შემდგომში შეფასების შემდეგ უნდა გადაწყდეს საკითხი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე.

აქვე კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა თავისი არსით და მნიშვნელობით წარმოადგენს დანაშაულთან ბრძოლისა და დამნაშავეთა დასჯის უზრუნველსაყოფ ინსტიტუტს, რომელსაც აღორციელებს პროკურორი ძირითად შემთხვევაში გამომძებლის მიერ კანონისშესაბამისად მოპოვებული მტკიცებულებები.

სისხლისსამართლებრივი დევნის საგამოძებო ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულებები შინაარსობრივად უნდა ეხებოდეს დანაშაულს და რათქმაუნდა იმ პირს ვის მიმართაც მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა.

დანაშაულის ჩამდენი პირის, სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი პირის მიერ გამოვლენის შემდგომ საქმესთან დაკავშირებული ბრალდების მტკიცების ტვირთი ენიჭება პროკურორს და ეს ხორციელდება უპირველეს ყოვლისა წინასასამართლო სხდომაზე. და რა არის წინასასამართლო სხდომა?

როგორც უკვე ნაშრომში, აღვნიშნე წინასასამართლო სხდომის ზუსტი განმარტება და დეფინიცია არ არსებობს, თუმცა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს მას.

წინასასამართლო სხდომაზე ხდება ბრალმდებელსა და ბრალდებულს შორის პირველი შეჯიბრებითი პროცესის წარმოება. აღნიშნულ სხდომაზე სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი პირი ვალდებულია წარმოადგინოს საქმეში არსებული კანონით შესაბამისი წესით მოპოვებული მტკიცებულებები, რომლებიც ნათელს ხდის ბრალდებული პირის საქმეში დამნაშავეობას. თავის მხრივ ბრალდების მხარეს შეუძლია წარმოადგინოს მტკიცებულებები რომლებიც მის უდანაშაულობაზე მტყველებს და რომლის საქმის არსებით განხილვის ეტაპზე წარმოდენაც სურს. მხარეებს ასევე შეუძლიათ წარმოადგინონ მტკიცებულებები,რომელიც ამტკიცებს შემდეგს, რომ მხარეს სასამართლოზე წარმოდგენილი მტკიცებულება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით აქვს მოპოვებული. ამ უკანასკნელ შემთხვევაში წინასასამართლო სხდომის მოსამართლე უფლებამოსილია და ველდებული, რომ ასეთი მტკიცებულება დაუშვებლად ცნოს და საქმის არსებით განმხილველ სასამართლოს არ გადასცეგ განსახილველად.

როგორც უკვე ზევით აღვნიშნე წინასასამართლო სხდომაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სწორად განხორციელებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან და რადგნაც თუკი ბრალდების მხარის მიერ არ მოხდება კანონისშესაბამისად საქმეში არსებული მტკიცებულებების წარდგენა წინასასამართლო სხდომაზე ან/და არ იქნება საკმარისი ბრალდებულისათვის ბრალის დასამტკიცებლად ან უსაფუძვლოდ ჩათვლის წინასასამართლო სდრომის მოსამართლე აღნიშნული საქმე საქმის არსებით განმხილვევ სასამართლოს არ გადაეცემა და წინასასამართლო სხდომის ეტაპზე შეწყდება ბრალდებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა.

სწორედ წინასასამართლო სხდომა უზრუნველყოფს, როგორც უკვე აღვნიშნე სამართლიან სასამართლოს იმ კონტესტში რომ დაუშვებელი და კანონსაწინააღმდეგოდ მოპოვებული მტკიცებულება არ იქნას მხედველობაში მიღებული საქმის არსებითად განხილვისას და თავის მხრივ ეს მექანიზმი ხელს უწყობს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას.

აქვე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს კანონმდებლობამ ძალიან მნიშვნელოვანი განვითარების გზა გამოიარა იქამდე სანამ დღევანდელ სახეს მიიღებდა და მეტიც დღევანდელი კანონმდებლობა, ზემოაღნიშნულ ჭრილში ჩემი აზრით სრულყოფილებასთან მიახლოებულია, რაც თითოეული მოქალაქის, იურისთისა თუ ამ საკითხით დაინტერესებული ადამიანისსათვის საამაყოც უნდა იყოს. თუმცა რათქმაუნდა ეს არ გამორიცხავს იმას რომ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში არსებობს გარკვეული სადავო საკითხებიც, რომლებით ნაშრომში მოყვანილია და საჭიროებს გადახედვას და რეფორმირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 2020.
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2020
3. საქართველოს კონსტიტუცია 2018წ
4. მართლმსაჯულება და კანონი 2018წ რედაქტორი ნ ძიძიგური.
5. თუმანიშვილი გ., „სისხლის სამართლის პროცესი“ (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), თბ., 2014;
6. ბ. მეურმიშვილი. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში. სადისერტაციო ნაშრომი. 2014. თბილისი.
7. ბ. მეურმიშვილი პროკურორი როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი. 2010 წ. თბილისი.
8. ჟან პრადელი შედარებითი სისხლის სამართალი.თბილისი 1999წ
9. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, მტ. რედაქტორი : გ.გიორგაძე, თბილისი, „მერიდიანი“ 2015. გვ 653.

უცხოური ლიტერატურა:

10. Pradel J., Droit pénal comparé, 3 e édition, Paris, 2008;
11. Prade J., Droit pénal comparé, Paris, 1995;
12. JAMES W. Garner. Criminal Procedure in France, The Yale Law Journal Companay, Inc. P.256.
13. RONALD J.B. MARY KELLY T.” CRIMINAL LAW and PROCEDURE. UNITED STATE” : CENGAGE LERNING – 4, 2015, P. 257.
14. Галиуллин Ш.Р., Судебный контроль за законностью и обоснованностью уголовного преследования, реализуемого в отношении специальных субъектов уголовного судопроизводства России., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Москва, 2008;
15. Головко Л.В., Альтернативы уголовному преследованию как форма процессуальной дифференциации (современные тенденции развития)., Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук, Москва, 2003;

16. Горлова С.В., Уголовное преследование как проявление публичности в уголовном процессе., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Челябинск, 2006;

17. Строгович М.С., Курс советского уголовного процесса, том 1, Москва, 1968;

ნორმატიული აქტები:

18. საქართველოს კონსტიტუცია, 1995;

19. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009;

20. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქ. მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. N3/2/646 2015 წლის სექტემბერი.

21. ადამიანთა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „Sabelj V. Croatia," განცხადების ნომერი 4429/09, 2011 წლის 28 ივნისი.

ვებ. გვერდები:

22. http://www.nzlii.org/nz/other/nzlc/pp/PP28/PP28.pdf

23. http://bookfi.org/book/529335

24. http://www.lawreform.ie;

25. https://matsne.gov.ge;

26. https://www.law.cornell.edu/rules/fre/rule801